თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

„სუყველა დასაჭერია მაგენი...“

რას ფიქრობენ მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე ქუთაისელები

იხილეთ **მე-3 გვერდზე**

№32 (720) 10-16 ნოემბერი, 2014 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს **www.psnews.ge**-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

„არსაიდან მოსული“ და „ავანტურისტი, უჭკუო და ამბიციური“ კვირის სცენაზე

გასულ კვირას ჯერ ამალია ჯიბლაძის ნიჭიერება დადგა ეჭვის ქვეშ, ხოლო შემდეგ საქართველოს ევროპული ორიენტაცია. „რუსთავი 2“-ის პროექტის „ნიჭიერის“ კონკურსანტის ირგვლივ ატეხილი სკანდალი პოლიტიკურმა მოვლენებმა გადაფარეს. თავდაცვის მინისტრის რანგში ირაკლი ალასანიამ საგანგებო ბრიფინგი მოაწყო და განაცხადა, რომ საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანი საფრთხის ქვეშაა, რის შემდეგაც პრემიერ-მინისტრმა ის თანამდებობიდან გაათავისუფლა და უჭკუო, ავანტიურისტი და ამბიციური უწოდა.

„ვნახე ეს ვიდეო... ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სიტუაციას ფონოგრამის სუნი ასდის“ — განაცხადა სოციალურ ქსელში საქართველოს პარლამენტის წევრმა გოგა ხაჩიძემ, რომელიც პოლიტიკაში სწორედ შოუ-ბიზნესიდან მოვიდა. ამალიას ნიჭიერება პირველად ეჭვქვეშ მომღერალმა ანრი ჯოხაძემ დააყენა, რასაც შემდეგ საკმაოდ ბევრი პოსტი და გამოხმაურება მოჰყვა ინტერნეტ სივრცეში. განსაკუთრებული პასუხი და „სასჯელი“ არხის დირექციისაგან კი გოგა ხაჩიძემ მიიღო — არხის დირექტორმა ნიკა გვარამიამ ის ერთ-ერთი პროექტიდან მოხსნა.

„არხის სახელით მინდა განვაცხადო: 1. ქალბატონმა ამალია ჯიბლაძემ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში იმღერა ცოცხლად და არა ფონოგრამით; 2. ვწუხვარ, რომ ქართული ესტრადის ფონოგრამაზე გაწაფული წარმომადგენლები ვერ (ან შეგნებულად არ) ანსხვავებენ ერთმანეთისგან ფონოგრამას და ეთერში გასაშვებ დამუშავებულ ვიდეოს, რა დროსაც მუშავდება მათ შორის ხმაც და ხდება მონტაჟი, რა დროსაც შესაძლებელია ეთერში გამოსახულების და ხმის აცდენა;

გაგრძელება **მე-3 გვერდზე**

ბავშვები ძალადობის პირისპირ



„P.S.ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

იცავს თუ არა კანონი ბავშვს?

ანანო ქუთაისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში სწავლობს. სწორედ პედაგოგისა და სკოლის დირექციის მიერ მოხდა ბავშვზე ძალადობის ფაქტის გამჟღავნება. საქმეში სოციალური მომსახურების სააგენტო და საპატრულო პოლიცია ჩაერთო, ბავშვი დაუყოვნებლივ გადაიყვანეს მამიდასთან, მამაზე კი შემაკავებელი ოქმი გამოიწერა.

გავრცელებული ინფორმაციით, მამას ფსიქიკური პრობლემა აქვს და ე.წ. „თეთრი ბილეთის“ მფლობელია, რაც გახდა მიზეზი იმისა, რომ პოლიციამ მისი დაკავება ვერ შეძლო. თუმცა, შემთხვევის სიმძიმის მიუხედავად, არც მშობლის შესაბამის დაწესებულებაში გადაყვანა მომხდარა. ერთადერთი შეზღუდვა, რაც მშობელს დაუწესდა, მასზე გამოწერილი შემაკავებელი ორდერია. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ პიროვნების ფსიქიკურ პრობლემას, შემაკავებელი ორდერი მისთვის ვერ იქნება დაბრკოლება და შესაძლოა, ბავშვზე ძალადობის ფაქტი ისევ განმეორდეს, რის ალბათობასაც ბავშვის მამიდის ნაამბობი ამყარებს. როგორც მოძალადის და ჰყვება, ოჯახიდან დედასთან ერთად, ძმის მიერ მათზე არაერთხელ განხორციელებული ძალადობის გამო წავიდა.

გაგრძელება **მე-2 გვერდზე**

ბელა საღინაძე:

„ჩანერგილმა ნაცებმა ცაგერი ამქავებულ აჯაფსანდალს დაამსგავსეს!“

იხილეთ **მე-4 გვერდზე**

MDF: ყველაზე დიდი საბიუჯეტო დაფინანსება 2013-14 წლებში ინტერპრესნიუსმა მიიღო

იხილეთ **მე-6 გვერდზე**

პედაგოგთა პროფკავშირი 1 სექტემბრიდან ხელფასების მატების პრინციპს ეწინააღმდეგება

იხილეთ **მე-5 გვერდზე**

მასწავლებლები გაფიცვებს იწყებენ

იხილეთ **მე-5 გვერდზე**

გიგა ბოკერია:

„ბიძინა ივანიშვილს სურს, რომ იყოს სამოქალაქო პატრიარქი“

იხილეთ **მე-2 გვერდზე**

ჰარვარდის უნივერსიტეტი მსოფლიოში კვლავ საუკეთესოა

იხილეთ **მე-7 გვერდზე**

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge
ISSN 1987-7056

ჰოროსკოპი — გვ. 7 | სკანვორდი — გვ.7 | კროსვორდი — გვ. 7

გიგა ბოკერია: „ბიძინა ივანიშვილს სურს, რომ იყოს სამოქალაქო პატრიარქი"

სამწუხაროდ, ამ ქვეყანას მართავს ადამიანი, რომელსაც თანამდებობაც კი არ უკავია და სურს, რომ იყოს უბრალოდ სამოქალაქო პატრიარქი — ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ ტაბულას ეთერში, გადაცემაში „ფოკუსი" განაცხადა.

ბოკერიას თქმით, პრემიერ-მინისტრი სიტყვა საბოტაჟს ყველა იმ პირის წინააღმდეგ იყენებს, რომელიც მისთვის, უფრო სწორად მისი უფროსისთვის პოლიტიკურად მიუღებელ განცხადებებს აკეთებს.

„სამწუხაროდ, ამ ქვეყანას მართავს ადამიანი, რომელსაც თანამდებობაც კი არ უკავია და სურს, რომ იყოს, უბრალოდ, სამოქალაქო პატრიარქი, უკვე ეს არის გამოწვევა ქვეყნის ევროპული მომავლისთვის, იმიტომ, რომ ქვეყნის ევროპული მომავალი გულისხმობს ქვეყნის შიგნით გარდაქმნასა და მოდერნიზაციას ევროპულ სახელმწიფოდ. ყველაფერი ის, რასაც ჩვენ ამ ორი წლის განმავლობაში ვხედავთ და ბოლო ფაზა, როდესაც საკუთარი გუნდის არასასურველ წევრს დაუპირისპირდნენ, ივანიშვილისთვის ტრადიციული მეთოდით, ანუ პროკურატურისთვის დაკვეთის მიცემით, რომ დაიჭირონ მისი თანაგუნდელები — ეს ყველაფერი ჩვენ გვაშორებს ევროპას და საფრთხეს უქმნის ჩვენს დემოკრატიას" — განაცხადა ბოკერიამ.

მისი თქმით, დამატებითი შეშფოთების საგანია ის, რომ ივანიშვილმა სამიზნედ თავისი გუნდის ის ნაწილი ამოირჩია, რომელიც მეტ-ნაკლებად პროდასავლური კურსის მატარებელი იყო.

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

® — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
● psnews27@gmail.com
● www.psnews.ge

ბავშვები ძალადობის პირისპირ

იცავს თუ არა კანონი ბავშვს?

პირველი გვერდიდან

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანების საფუძველზე ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობა მკაცრად ისჯება. არსებული ბრძანებულებით საქართველოს საჯარო სკოლებისა და სააღმზრდელო დაწესებულების ყველა თანამშრომელი ვალდებულია, ბავშვზე შემჩნეული ნებისმიერი ძალადობის კვალის გამოვლენისას, დაუყოვნებლივ აცნობოს საპატრულო პოლიციასა და სოციალური მომსახურების სააგენტოს.

ოჯახში ძალადობის შესახებ კანონს, შესაძლოა, ახალი მუხლიც დაემატოს, რომლის მიხედვით, სკოლა ან პედაგოგი ვალდებულია, ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაცია შესაბამის სახელმწიფო უწყებას მიაწოდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დაჯარიმდება.

ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ფიზიკური პირი გაფრთხილდება ან დაჯარიმდება 50 ლარის ოდენობით. იურიდიული პირის შემთხვევაში ჯარიმა 100 ლარია.

მას შემდეგ, რაც მოხდება შესაბამისი სამსახურების ინფორმირება, იწყება საქმის შესწავლა. პროცესში თუ დადგინდა, რომ ბავშვი ძალადობის მსხვერპლია, მოხდება სათანადო რეაგირება. რა ღონისძიებები ტარდება კონკრეტულად და როგორ ხდება მსხვერპლის დაცვა, სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის რეგიონული საკოორდინაციო ცენტრის უფროსის მოადგილე, მეურვეობა-მზრუნველობის იმერეთის რეგიონული საბჭოს თავმჯდომარე **ნათია წივწივაძე** საუბრობს:

„ყველა უწყებამ, ვისაც ურთიერთობა აქვს ბავშვთან (ეს შეიძლება იყოს სკოლა ან სააღმზრდელო დაწესებულება) ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაშიც კი, აუცილებლად უნდა აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს. სამართალდამცავი ორგანოები, თავის მხრივ, მეურვეობის და მზრუნველობის ტერიტორიულ ორგანოს უკავშირდებიან.

ერთობლივი მუშაობით ხდება ყველა პროცედურის გათვალისწინება, რაც, პირველ რიგში, ბავშვის ინტერესებისთვის არის აუცილებელი. ხშირად მშობლის მიერ ფაქტი თანმიმდევრულად არ კონკრეტდება. არადა, სწორ იდენტიფიკაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

პოლიცია ვალდებულია, ბავშვი უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანოს, გაარიდოს მოძალადეს. მეურვეობის და მზრუნველობის ორგანო ახორციელებს ბავშვის შეფასებას. თუ წარმოების პროცესში გამოიკვეთება, რომ მისი უსაფრთხოებისთვის აუცილებელია ბავშვის გადაყვანა, გადაგვყავს უსაფრთხო ადგილზე, რომელსაც თავად ბავშვი ირჩევს, შეიძლება მას სურვილი ჰქონდეს ნათესავთან დარჩენის. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ხდება სახელმწიფო მზრუნველობაში გადაყვანა, რადგან ყოველნაირად ვცდილობთ ბავშვი ბიოლოგიურ მშობლებთან დარჩეს.

ფაქტის გამოვლენისას სოციალური მუშაკი ახორციელებს საკითხის წარმოდგენას მეურვეობის და მზრუნველობის რეგიონულ საბჭოზე. საბჭო იხილავს ბავშვის სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსების საკითხს. თუ ვთვლით, რომ სახელმწიფო მზრუნველობაში გადაყვანა აუცილებელი არაა, ამ შემთხვევაში ხდება მშობლის უფლების შეზღუდვა, ან იმ პირის, რომლისგანაც ხორციელდება ძალადობა, ხდება ბავშვის რეაბილიტაცია. ვატარებთ მონიტორინგს ხომ არ გამოიკვეთება რაიმე რისკები, რაც ბავშვის განვითარებაზე უარყოფითად გამოიხატება. ინფორმაციის მისაღებად სკოლას სისტემატური კავშირი აქვს საპატრულოსთან. თუ გამოიკვეთა ძალადობის რისკი, არსებული სამართლებრივი საფუძვლის შემთხვევაში გამოიწერება დამცავი ორდერი.

იმ შემთხვევაში, თუ მხარეები აღადგენენ ურთიერთობას და აღარ იარსებებს ძალადობის საშიშროება, ორდერი გაუქმდება.

შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ ორდერის გამოწერით წყდება რეაგირება, ეს მხოლოდ ერთ-ერთი მექანიზმია. ბავშვი ყოველთვის მოწმდება. იმ შემთხვევაში, თუ მოძალადე პირი გადალახავს ორდერით დაწესებულ ვალდებულებას, მაშინვე მოქმედებს დამცავი ორდერი. პატრულის მიერ გატარდება შესაბამისი ღონისძიება — მოძალადე ან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ან სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებაში გადაჰყავთ."

შემაკავებელი ორდერი მოძალადეს კანონის ფარგლებში უკრძალავს ძალადობის მსხვერპლთან მიახლოვებას, თუმცა ის მაინც ვერ იქნება გარანტი ბავშვის დაცულობის და სამწუხაროდ, განმეორების შემთხვევაში ძალადობა, შესაძლოა, სავალალო აღმოჩნდეს.

***

ძალადობის რამდენიმე ფორმა არსებობს: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური. ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ძალადობა უმეტეს შემთხვევაში ფსიქოლოგიური და ეკონომიკური პრობლემებით არის გამოწვეული, თუმცა ხშირია მოზარდზე სექსუალური ძალადობის ფაქტებიც.

შესაძლოა, ბავშვი უშუალოდ არ იყოს ძალადობის მსხვერპლი, მაგრამ მშობლების და ოჯახის წევრების გახშირებული კამათი და ჩხუბი ახდენს ბავშვის ტრამვირებას. ძალადობის მსხვერპლი ბავშვები დათრგუნული და გარიყულები არიან, არ კონტაქტობენ თანატოლებთან. მას აქვს რწმენა იმისა, რომ მის შესახებ ყველამ იცის, ზოგჯერ ეს რწმენა მოჩვენებითია, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში — სიმართლეა. ხშირად ძალადობის მსხვერპლზე სკოლაში მეზობელი ბავშვები ჰყვებიან, ამ შემთხვევაში ბავშვები ბულინგის მსხვერპლი ხდებიან, რაც ბავშვის ტრამვირებას კიდევ უფრო ართულებს. საზოგადოება კი ყოფილი მსხვერპლისგან მოძალადეს იღებს.

ძალადობის მსხვერპლი ბავშვი პოტენციური მოძალადე რომ არის, ადასტურებს ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგი **იაგო ბალანჩივაძე**. როგორც ის აღნიშნავს, ძალადობის ფაქტები მნიშვნელოვნად გახშირდა. ბავშვი, რომელიც ძალადობის ობიექტია, ან თუნდაც ფაქტის შემსწრეა, იღებს ფსიქოლოგიურ ტრამვას. ის ვერ ახდენს აგრესიას მშობლებზე, მაგრამ ის მოძალადე ხდება თანატოლებში. იქცევა აგრესიულად და ცდილობს, დაჩაგროს მასზე სუსტი.

ფსიქოლოგი აღნიშნავს, რომ აუცილებელია მოხდეს სპეციალისტების დროული ჩარევა, რაც საუკეთესო შედეგს იძლევა.

ძალადობის მსხვერპლი ბავშვის და მშობლის, რომლის მიმართაც სისტემატურად ხორციელდება თავდასხმა, თავშესაფრებსა და ოჯახური ძალადობის ცენტრებში მიჰყავთ. ოჯახური ძალადობის ცენტრი ქუთაისში ერთი წლის წინ დაარსდა. სოციალური მუშაკის **ნანა იდაძის** თქმით, დაზარალებულს თავშესაფარში დარჩენა სამი თვის განმავლობაში შეუძლია, თუმცა საჭიროების შემთხვევაში დროის გაზრდა შეიძლება.

არსებული კანონმდებლობით, თავშესაფრებში ბენეფიციარების კეთილდღეობისთვის ყველა პირობა უნდა იყოს შექმნილი და საჭიროების შემთხვევაში ყველა დაზარალებულს უნდა მოემსახუროს.

თუმცა, ქუთაისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის წარმომადგენელი რამდენიმე თვის წინ მომხდარ შემაშფოთებელ ფაქტს იხსენებს (პიროვნების ვინაობას რიგი მიზეზების გამო არ ვასახელებთ):

„ფაქტი, რომლის შესახებაც გიამბობთ, რამდენიმე თვის წინ ჩვენს სკოლაში მოხდა. შევამჩნიე ერთ-ერთი მოსწავლე სისტემატურად დათრგუნული იყო, არ კონტაქტობდა სხვებთან. მოგვიანებით იარებიც აღმოვაჩინე. ბავშვის ოჯახური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მეზობელი ბავშვებისგან მოვიპოვე. როდესაც გავიგე, რა მდგომარეობა იყო, მივმართე სოციალურ მომსახურების სააგენტოს, საიდანაც შეტყობინებისთანავე მოვიდნენ სკოლაში. მათ თავის მხრივ საპატრულო პოლიცია და ტერიტორიული ორგანოს საუბნო სამსახური გამოიძახეს. მივიდნენ ბავშვის სახლში, გამოიკითხეს მდგომარეობა, მოახდინეს შეფასება, ოჯახის წევრების გაფრთხილება, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო ძალადობის განმეორების შემთხვევაში. გაატარეს რაღაც ღონისძიებები და წავიდნენ. ვინაიდან შეტყობინების პირველი შემთხვევა იყო, არ მოხდა ბავშვის გადაყვანა თავშესაფარში და ის მოძალადეებთან ისევ მარტო დარჩა. სოციალურ მუშაკს მივმართე კითხვით, ძალადობის განმეორების შემთხვევაში, რატომ არ ხდებოდა ბავშვის გადაყვანა თავშესაფარში? პასუხი იყო გამაოგნებელი, უბნის ინსპექტორმა მითხრა, რომ თავშესაფრები არ არის და ბავშვი სად უნდა წავიყვანოთო? გამოდის, რომ ბავშვი ძალადობის პირისპირ მარტო დატოვეს. შემაკავებელი ოქმი არსებობს, მაგრამ მის ამოქმედებას ვადები უნდა, ან რომც ამოქმედდეს, ეს ვერ იქნება უსაფრთხოების გარანტი, რადგან, შესაძლოა, ადამიანმა, რომელსაც ნერვული შემოტევა აქვს, ზიანი მიაყენოს ბავშვს, სამსახურის ჩარევა კი დაგვიანებული აღმოჩნდეს."

დავინტერესდით, გაგვეგო რა ვითარებაა თავშესაფრებში, ბავშვთა სოფლებსა და ოჯახური ძალადობის ცენტრებში, თუმცა, როგორც სოციალური მუშაკი აღნიშნავს, მიზეზთა გამო თავშესაფრების შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია, რის გამოც თავშესაფრებში შესვლა რიგ პროცედურებთან არის დაკავშირებული.

რაც შეეხება სტატისტიკას, მიმდინარე წლის განმავლობაში იმერეთის მასშტაბით ბავშვზე ძალადობის 21 შემთხვევაა რეგისტრირებული, ამათგან მხოლოდ ორ შემთხვევაში მოხდა ბავშვის სპეციალურ სააღმზრდელო დაწესებულებაში გადაყვანა.

ფსიქოლოგების თქმით, ხშირია ფაქტები, როდესაც მოძალადე აფექტის მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ, ჩადენილი დანაშაულის გამო სინანულს განიცდის, ნერვიულობს და პირობას დებს, რომ აღარ განმეორდება, თუმცა, ვიდრე მოძალადე სინანულშია, მომსახურების სააგენტო სამართალდამცავ ორგანოებთან ძალადობის ხარისხს ადგენს და ვიდრე საზოგადოება მიხვდება, ძალადობის ფაქტს გულგრილად უყურებს და ამით თავადაც ძალადობის თანამონაწილეა, ანანო და კიდევ ბევრი ანანო ძალადობის პირისპირ მარტო რჩება.

ნესტან ჩაგელიშვილი

ღვინის კომპანიები ღვინის წარმოების შედეგად მიღებულ ჭაჭას ვეღარ გაყიდიან

2014 წლის რთველის ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში პრემიერის მიერ მიღებული სამთავრობო დადგენილების თანახმად, ღვინის კომპანიებს ეკისრებათ ვალდებულება, მიღებული ჭაჭა გადაამუშავონ ან/და გამოიყენონ. კომპანიები მიღებულ ჭაჭას ვეღარ გაყიდიან. მსგავსი ვალდებულების დაკისრება ღვინის კომპანიების მიმართ წელს პირველად განხორციელდა.

შედეგად წელს ღვინის საწარმოების ნაწილი გამოწნეხილ ჭაჭას ანადგურებდა, ნაწილმა კი კერძო ფირმებთან გააფორმეს ხელშეკრულებები, რომელთაც გამოწნეხილი ჭაჭა, ძირითადად, რამდენიმე მიმართულებით გამოიყენეს. ასეთი მიმართულებები იყო სასუქი, ხელოვნურ ტბებსა და საგუბარებში თევზების საკვები, ფერმებში ფრინველისა (ინდაური) და წვრილფეხა საქონლის საკვები. ჭაჭა ასევე გამოიყენებოდა არყის გამოსახდელად — ზოგ შემთხვევაში თვითონვე ხდიდნენ, ან გადასცემდნენ კერძო ორგანიზაციებს, რომელთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით ეს უკანასკნელნი ვალდებული იყვნენ ჭაჭისგან გამოეხადათ არაყი, — განმარტავენ ღვინის ეროვნულ სააგენტოში.

პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, გიგლა აგულაშვილის განმარტებით, ეს ღონისძიება მიმართულია უხარისხო ღვინის წარმოების აღმოსაფხვრელად. მისი თქმით, იყო შემთხვევები, როდესაც გადამუშავებული ჭაჭის მეორადად გამოყენება ხდებოდა, რის შედეგადაც შაქრისა და წყლის დამატებით მზადდებოდა უხარისხო ღვინო.

აგულაშვილს მიაჩნია, რომ მთავრობის ეს დადგენილება საწარმოო მასშტაბებით პრაქტიკულად აღმოფხვრის უხარისხო ღვინის წარმოებასა და დისტრიბუციას; ასევე წაახალისებს წიპწის ზეთის წარმოებასა და ჭაჭის ბიოსასუქად გამოყენებას.

ამ ვალდებულების შესრულებაზე მონიტორინგს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო ახორციელებს.

„არსაიდან მოსული“ და „ავანტურისტი, უჭკუო და ამბიციური“ კვირის სცენაზე

პირველი გვერდიდან

3. არ მივიჩნევთ შესაძლებლად, მომავალში რაიმე სახით ვითანამშრომლოთ იმ პირებთან, ვინც არხი პრაქტიკულად თაღლითობაში დაადანაშაულა. შესაბამისად, „ბრავოს“ ხვალინდელი ეთერიდან არხის გადაწყვეტილებით მოიხსნა პარლამენტის წევრი, ბატონი გოგა ხაჩიძე; 4. თუ რაიმე ეჭვები კიდევ არსებობს უნიჭიერესი ქალბატონი ამალიას შესაძლებლობების შესახებ, უყურეთ ოთხშაბათს „სხვა შუადღეს“.

პ.ს. ეს პირადად ჩემგან: მომღერალმა და არამომღერალმა ქართველმა ლუზერებმა ორი დღეც ვერ აიტანეს არსაიდან მოსული ნიჭიერი ქალის პოპულარობა. სამარცხვინო ბოღმები — განაცხადა ნიკა გვარამიამ სოციალური ქსელის „facebook“-ის მეშვეობით.

მოკლედ რომ ვთქვათ, ქალბატონმა ამალიამ „სხვა შუადღეში“ ცოცხლადაც იმღერა, საჯარო ბოდიშები და ყვავილებიც მიიღო, რეპორტაჟებიც მომზადდა მის შესახებ და, რა თქმა უნდა, ამით პროექტის მშვენიერი რეკლამაც გამოვიდა. ერთი სიტყვით, ამალიას გულისამაჩუყებელი ისტორია შესაბამისი „ჰეფი ენდით“ დასრულდა, რასაც ვერ ვიტყვით იმ მოვლენებზე, რომელმაც ამალიას ნიჭიერების ამბავი გადაფარა — ირაკლი ალასანიას „ნიჭიერის“ მონაწილის მსგავსად არ გაუმართლა.

სამი შეცდომა...

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ გენერალურმა პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები დააკავა კორუფციული ქმედებების ბრალდებით. კერძოდ, საუბარია ტენდერის მიკერძოებით ჩატარებაზე კომპანია „სილქნეტის“ სასარგებლოს და, დაახლოებით, 4 მილიონი ლარის გაფლანგვაზე.

ამ ჩვეულებრივმა სისხლის სამართლის საქმემ პოლიტიკური ჟღერადობა მაშინვე შეიძინა, რადგან სამინისტროს მაღალჩინოსნების დაკავება მოხდა მაშინ, როდესაც თავდაცვის მაშინდელი მინისტრი ირაკლი ალასანია ვიზიტით გერმანიასა და საფრანგეთში იმყოფებოდა. გარდა ამისა, ვინაიდან საქმის მასალები გრიფით საიდუმლოს მიეკუთვნება, დღემდე არაა ცნობილი დეტალები, დღემდე არ არის გადაცემული მასალები სრულად დაკავებულის ადვოკატებისათვის და საკმაოდ ბევრი ნიუანსი კულუარებს მიღმაა დარჩენილი. სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა იმან, რომ ე.წ. „კაბელების საქმეს“ სხვა საქმე მოჰყვა, ამჯერად ჯარისკაცების კვების სტანდარტებთან დაკავშირებით, რომლის გამოძიებაც, თურმე, ერთი წლის წინ იყო დაწყებული და ახლა დაასრულა პროკურატურამ. როგორც ჩანს ამან უკვე ირაკლი ალასანიას მოთმინების ფიალა აავსო და მან 4 ნოემბერს საგანგებო განცხადება გააკეთა:

„პროკურატურის მხრიდან ადგილი ჰქონდა მიზანმიმართულ შეტევას თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ, რომელიც არის პირდაპირი ჯაჭვი ნატოსთან, ევროკავშირთან, და ვინაიდან საქმე ეხება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ორიენტაციას, პოლიტიკურ მომავალს, ხვალ მივმართავ მმართველი კოალიციის პოლიტსაბჭოს, შევიკრიბოთ და გავხსნათ მსჯელობა, თუ საითკენ მიჰყავს პროკურატურას ჩვენი ქვეყანა“ — განაცხადა თანაგუნდელებით გარშემორტყმულმა ალასანიამ.

როგორც რადიო „თავისუფლების“ ბლოგზე ჟურნალისტი კობა ლიკლიკაძე წერს, ეს იყო პირველი შეცდომა — იერიში პროკურატურაზე, რომელიც (საქართველოში ბავშვმაც კი იცის) დამოუკიდებლად არ მოქმედებს.

მეორე შეცდომა კი იყო ევროატლანტიკურ მიმართულებასთან საკუთარი თავის გაიგივება. ალასანიამ ყოველგვარი მოკრძალების გარეშე განაცხადა, რომ სამხედრო უწყების რამდენიმე მაღალჩინოსნის წინააღმდეგ პროკურატურის მიერ დაწყებული გამოძიება არის „შეტევა საქართველოს ევროატლანტიკურ არჩევანზე“.

„არა მგონია, ალასანიასთვის მოგებიანი ყოფილიყო საკუთარი თავის გაიგივება პროდასავლურ ორიენტაციასთან. მით უფრო, ისეთი აპოკალიფსური სურათის დახატვა, თითქოს მისი კრიტიკით, ან სამხედრო უწყებაში ხელმრუდობის ფაქტის გამოვლენით (თუკი ასეთი რამ მართლაც მოხდა) საქართველოს ევროატლანტიკური მომავალი იღუპებოდეს; რაც, ჩემი აზრით, არის მესამე და მთავარი შეცდომა.

ამ მესიჯის გავრცელებით ალასანია არა მხოლოდ საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, არამედ, ვფიქრობ, კრიტიკის საბაბსაც აძლევს თავის პოლიტიკურ ოპონენტებს, რომლებმაც თავდაცვის აწ უკვე ყოფილ მინისტრს მწარედ შეახსენეს მისი და მისი თანაგუნდელების გამოთქმები და საქციელი“ — წერს კობა ლიკლიკაძე ბლოგზე გამოქვეყნებულ ანალიტიკურ სტატიაში „ირაკლი ალასანიას სამი შეცდომა.“

კანონზე მაღლა არავინ იქნება: ეს იყო ის მთავარი წინასაარჩევნო დაპირება და იდეალიც, რომლის სახელითაც ორი წლის წინ ჩატარებულ არჩევნებში გაიმარჯვა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“. ჟურნალისტი მიიჩნევს, რომ ამ იდეალების ერთგულება შექმნილ ვითარებაში ირაკლი ალასანიასაგან ორ რამეს მოითხოვდა:

მას თავადვე უნდა ემხილებინა მის უწყებაში მომხდარი ნაკლოვანებები; ან/და სააშკარაოზე გამოეყვანა ის პოლიტიკოსი, თუ თანამდებობის პირი, რომელმაც პროკურატურას „სამხედრო უწყების წინააღმდეგ მიზანმიმართული ბრძოლა დაუკვეთა.“

„ალასანიამ ვერც ერთი მოახერხა, და ვერც მეორე. მან მხოლოდ პოლიტიკური ტარიგის როლში ყოფნა არჩია, რითაც მოხერხებულად ისარგებლა აგრესიულმა ირაკლი ღარიბაშვილმა და არა მხოლოდ თანამდებობიდან გადააყენა თავდაცვის მინისტრი, არამედ იგი გამოიყვანა კორუფციის მფარველად და თავისი უწყების პოლიტიზების მსურველ პოლიტიკოსად, რაც ირაკლი ალასანია ნამდვილად არასოდეს ყოფილა. თუმცა, ამას უკვე აღარც აქვს დიდი მნიშვნელობა — კენჭი უკვე ნაყარია“ — წერს **კობა ლიკლიკაძე.**

„დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის“ პრეზიდენტი სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ შექმნილ ვითარებას ყველაზე ზუსტად ახასიათებს ქართული ანდაზა — კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალაო.

„დღეს ქვეყანაში მომხდარზე განსხვავებული მოსაზრებების კორიანტელია. რეალობა კი ის გახლავთ, რომ წარჩინებული და მაღალი რეიტინგის მქონე მინისტრი ალასანია მოიხსნა თანამდებობიდან საკმაოდ ისტერიულ ვითარებაში. მოწმენი ვართ ხელისუფლებაში ამა თუ იმ პრინციპულ საკითხებზე განსხვავებული ხედვებისა. შესაძლოა, ჯერ ნაადრევია საუბარი იმაზე, თუ რა მტკიცებულებები აქვს ალასანიას მისივე განცხადებების დასასაბუთებლად, მხედველობაში მაქვს საფრთხე, რასაც ის ხედავს. მისი მაღალი პასუხისმგებლობის მახასიათებელი გახლავთ ის, რომ ხანგრძლივ სატელევიზიო ინტერვიუში არ გახსნილა და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, არ გაუსაჯაროებია ის თემები, რის გამოც მან ასეთი განცხადებები გააკეთა, გადაწყვეტილება მიიღო და რის გამოც საფრთხის წინაშე აღმოჩნდა საქართველოს ევროატლანტიკური პერსპექტივა“ — აღნიშნავს **სოსო ცისკარიშვილი** „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში.

გაგრძელება **მე-5 გვერდზე**

„სუყველა დასაჭერია მაგენი...“

რას ფიქრობენ მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე ქუთაისელები

ბოლო პერიოდში „ალასანია-ღარიბაშვილის“ თემის განხილვით არის დაკავებული სრულიად საქართველო. მსჯელობენ ყველგან: ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებების ქარცეცხლშია გახვეული დღეს ჩვენი ქვეყანა. პროკურატურა კი გამოძიების პროცესშია, საქართველოში მოღვაწე პარტიების ნაწილი, სწორედ პროკურატურის მიერ დადებული ოფიციალური მასალების მოლოდინშია და თავს იკავებენ თამამი განცხადებებისგან, თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც ღიად აკრიტიკებენ, ან პირიქით — მხარს უჭერენ ალასანია-ღარიბაშვილის ირგვლივ დატრიალებულ მოვლენებს.

რას ფიქრობენ ამ დაპირისპირებასთან დაკავშირებით ქუთაისში?

დავინტერესდით და გამოკითხვა ჩავატარეთ პოლიტიკოსებსა და მოქალაქეებს შორის:

ნატო ქათამაძე, „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი, ქუთაისის საკრებულოს წევრი: „მე პატივს ვცემ როგორც ალასანიას, ასევე პრემიერის გადაწყვეტილებას. ალბათ, ორივე მათგანმა მათთვის საჭირო გადაწყვეტილებები მიიღეს. ვერც ერთ მათგანს ვერ განვსჯი. რაც შეეხება „თავისუფალ დემოკრატებთან“ წლების ურთიერთობა მაკავშირებს და დღევანდელი მდგომარეობით არანაირად არ შემცვლია მათდამი განწყობა, რა იქნება მომავალში, მას დრო გვიჩვენებს.“

გოგი წულაია, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე: „ძალიან ცუდი რამ ხდება ქვეყანაში. სერიოზულ კრიზისშია საქართველო, ჩვენი ხელისუფლების შემადგენლობა კი სრულად ვერ ასახავს რეალობას. ამ ყველაფრიდან ერთადერთი გამოსავალია – ჩატარდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, რაც განმუხტავს ამ კრიზისს. ის, რაც პროკურატურამ გააკეთა, არასწორი ფორმა იყო, ხოლო ღარიბაშვილის საქციელი ალასანიამ მაინც სათავისოდ გამოიყენა, თავი გადააყენებია და თვითონ კი დაჩაგრულად გამოვიდა ამ სიტუაციიდან – შეაშფოთა მთელი ევროპა. დრო გვიჩვენებს, რამდენად სწორი გადაწყვეტილებები მიიღეს როგორც პრემიერმა, ისე ალასანიამ.“

***

თამარ ჩუბინიძე: „პრემიერმა ალასანიას გათავისუფლებით მართალი გადაწყვეტილება მიიღო. თავის დროზე თვითონ უნდა გადამდგარიყო ალასანია. რომ ჩამოვიდა საქართველოში მას, ყვირილის ნაცვლად, ხელი უნდა შეეწყო გამოძიებისთვის. თუმცა, ჩამოსვლისთანავე ერთი ამბავი ატეხა და მთავრობას დაუწყო გაკრიტიკება. იქნებ, მართლაც დაამავეს მისი გუნდის წევრებმა, უნდა გაეგო ჯერ სიმართლე და მერე აყვირებულიყო. მინისტრის პირდაპირი მოვალეობაა სიმართლის დადგენა. ამ შემთხვევაში კი, ირაკლი ალასანიამ არასწორი რეაგირება მოახდინა და შედეგსაც ვხედავთ.“

ამირან გონგაძე: „ალასანია, როგორც პოლიტიკური ფიგურა, მე ძალიან მომწონდა და დანარჩენი მთავრობამ იცის, რა როგორ უნდა გააკეთოს. მიმაჩნია, რომ პრემიერმა სწორი გადაწყვეტილება არ მიიღო. უფრო უმტკივნეულოდაც შეიძლებოდა ამ ყველაფრის ჩაწყნარება, მაგრამ ღარიბაშვილმა სპონტანურად იმოქმედა, ალასანია ასე ერთი ხელის მოსმით არ უნდა გადაეყენებინა.“

ბადრი ყიფიანი: „ნამდვილად არ მომეწონა პრემიერის საქციელი, მაგის გაშვებას, ჯობდა, ბესელია გაეშვა, იგია „პრისტუპნიკიც“ და ოხერიც. საერთოდ არ მომწონს მე მაგენი. ალასანია თვითონ რატომ გადადგებოდა, ამხელა პოსტზე იყო და... ერთნაირი ოხრები არიან ყველანი. ამ მთავრობაში არცერთი კადრი არ მომწონს, მაგრამ ყველას მაინც ალასანია მერჩივნა და ისიც მოხსნეს. შიგნით არ ინდობენ მაგენი ერთმანეთს და გაჭირვებულ ხალხს დაინდობენ?“

გია ბარნაველიძე: „თვითონ უნდა წამოსულიყო ალასანია თანამდებობიდან, მაგრამ მაინც იმედი ჰქონდა, ალბათ, რომ გამოძვრებოდა ამ სიტუაციიდან. ეგონა, შერჩებოდა მთავრობის ლანძღვა? პრემიერმა ძალიან სწორი გადაწყვეტილება მიიღო.“

ომარ შალამბერიძე: „არცერთი არ მომწონს მე მაგენი, „ნაციონალები“, „ოცნება“, სულ ერთი ხალხია. აფირისტობენ და ხალხს თვალებს უხვევენ. მე, პირადად, არცერთის არ მჯერა. ერთი კია, პროკურატურას არ უნდა დაეჭირა ალასანიას ხალხი მის აქ არყოფნაში და მერე ვერც ვერაფერს იტყოდა ალასანია. ახლა კი, ეს ერთადერთი მიზეზი აქვს ხელზე დახვეული და მაგით იმართლებს თავს.“

ვალერი შათირიშვილი: „ალასანია მაშინ იყო დასაჭერი, სამხედროები რომ მოწამლა. მაგან სულ დაიგლახავა მთელი ქვეყანა. პრემიერმა ძალიან სწორი გადაწყვეტილება მიიღო ირაკლი ალასანიას გათავისუფლებით. უფრო სწორი კი, მისი დაჭერა იქნება. სუყველა დასაჭერია მაგენი.“

რომან მიქაძე: „ძალიან რთული სიტუაციაა. მე მგონია, რომ ღარიბაშვილმა არასწორი დაგადაწყვეტილება მიიღო, დალოდებოდა პოლიტსაბჭოს და მერე გაეთავისუფლებინა ალასანია, მოვლენებს დაასწრო. მიჭირს ლაპარაკი, არავინ იცის, ვინ რა თამაშს თამაშობს ბინძურ პოლიტიკაში.“

ავთანდილ ჟორჟოლიანი: „ალასანია არაკაცურად მოიქცა. ჩვენ ის იმიტომ ავირჩიეთ, რომ ხალხს უნდა ემსახუროს. მას სახელმწიფოში იმხელა თანამდებობა ეკავა, რომ არ შეიძლებოდა, ასე ერთი ხელის მოსმით დაენგრია ყველაფერი. ძალიან სწორი და დროული იყო პრემიერის რეაგირება. ზუსტადაც უნდა გადაეყენებინა ალასანია. პატარა ბავშვივით რომ გამოვიდა და გალანძღა ხელისუფლება, ასე ვის გაუგია. ვინც გასაშვებია, უნდა გაუშვან, დასაჭერი კი — აუცილებლად უნდა დაიჭიროონ და ალასანია კი, ნამდვილად არის ციხეში ყოფნის ღირსი.“

ჟანა ჯაველიძე

ბელა საღინაძე:

„ჩანერგილმა ნაცებმა ცაგერი ამჟავებულ აჯაფსანდალს დაამსგავსეს!"

ცაგერის საკრებულოს წევრმა, კოალიცია „ქართული ოცნების" წარმომადგენელმა, ბელა საღინაძემ რედაქციას წერილი გამოუგზავნა, სადაც ის ცაგერის რაიონში არსებულ „ყვარყვარიზმის" შემაშფოთებელ ფაქტებზე საუბრობს და აცხადებს, რომ აქ ხელისუფლებაში მთავარი ფიგურები ისევ „ნაციონალები" არიან, რომლებიც „ოცნების" წარმომადგენლებს დაუფარავად ებრძვიან და თან, ადგილობრივ ბიუჯეტს აჩანაგებენ.
მაინც, რა ხდება ცაგერში, ამის თაობაზე ბელა საღინაძის წერილიდან შეიტყობთ:

„თვალს ვადევნებ თქვენს წერილებს. ვიცი, დუმილს ყოველთვის როდი აქვს ოქროს ფასი. როცა უკანონობას ხედავ და ხმას არ იღებ, თავად ხდები ამ უკანონობის მონაწილე, სხვა საკითხია — არ იღებ, თუ ვერ იღებ!

საკუთარ პერსონაზე საუბარს ნამდვილად არ ვაპირებდი, მაგრამ აუცილებლობა მოითხოვს, მოვლენებს თანმიმდევრობით მივყვე. ნაციონალურ მოძრაობასთან არასოდეს ვყოფილვარ წილნაყარი, 9 წელი მათ წინააღმდეგ ბრძოლაში გავატარე, მეორე მოწვევის საკრებულოს წევრი ვარ. 2010 წელს „ალიანსი საქართველოსთვის" პროპორციული სიით გავხდი დეპუტატი. სულ ორი ოპოზიციონერი ვიყავით, 23 კი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები იყვნენ, სიმართლისათვის ბრძოლაში უკან არასოდეს დამიხევია, პრინციპებისათვის არასოდეს მიღალატია და აღარ ვიცი, სასაცილოა თუ სატირალი, ვინც მაშინ გვებრძოდა ხმალამოღებული, სამწუხაროდ, დღეს ისევ მებრძვის და მებრძვის უტიფრად უკვე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის სტატუსით.

პიროვნება, რომლის აკვანიც დიახ, ნაციონალურმა მოძრაობამ „დაარწია" და „არწევს" დღესაც. ვინ არიან ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი პირები? სამწუხაროდ, თავმჯდომარეც და მოადგილეც „წითლები" არიან, 5 ნომრიანი წითლები. ვერ დავიჯერებ, რომ საქართველოს რომელიმე რეგიონში ანალოგიური სიტუაცია იყოს — გამგეობის თითქმის ყველა სამსახურის და განყოფილების უფროსი, ერთი-ორის გამოკლებით, ნაციონალია. საკრებულოს თავმჯდომარე, მოადგილე, აპარატის უფროსი, ახლადშექმნილი განყოფილებები — სულ ნაციონალებია. ასე რომ, გადაწითლებულია ცაგერის რაიონი. ყველაზე დიდსტაჟიანი ნაციონალია საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. ღურჭუმალიძე. 2006 წ. საკრებულოში ის გახლდათ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე. 2010 წელს ადგილობრივი არჩევნების დროს კენჭი იყარა ქ. ცაგერის მაჟორიტარად ნაციონალური მოძრაობიდან. მთელ ცაგერს ახსოვს, მაშინდელ გამგებელს, დ. ასათიანს, ყველა ძალის ამოქმედება დასჭირდა („კუდი", „სოდი", პოლიცია), რომ როგორმე გაეყვანა. ისიც კარგად ახსოვთ, „ალიანსის" კანდიდატის მხარდასაჭერად ჩამობრძანებულ დ. უსუფაშვილს და ი. იმერლიშვილს ბაღში შეხვედრაზე პირდაპირ რკინის კარებზე გადმოუხტათ იმის დასამტკიცებლად, რომ ის ყველაზე მაგარი იყო. 2010 წელს ნაციონალებმა დანიშნეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ.

რა დამავიწყებს, როცა ბატონი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკის ზღურბლზე გამოჩნდა და მისი მოქალაქეობის აღდგენისათვის ხელმოწერებს ვაგროვებდით. სულ 3500 ხელმოწერა შევაგროვეთ ცაგერში, პასუხისმგებლობა მე მეკისრებოდა ამ ხელმოწერების შეგროვებაზე, რა წესებს არ იყენებდნენ ჩვენს წინააღმდეგ, სოფლებში მათგან დაგეშილი ნაციონალები უსაფრთებოდნენ ჩვენს ხელმომწერებს, როგორი დამცინავი, ამაზრზენი სიტყვებით მოიხსენიებდნენ ბატონ ბიძინას, როგორ გვდევნიდნენ. კარგად მახსოვს, საკრებულოს სხდომაზეც კი გავაკეთე განცხადება. მერე მათმა დიდმა მიხეილმა საავადმყოფოს შენობა გახსნა. ამ ხალხმა ბიუჯეტიდან თანხები გამოყო მიხოსთვის ბევრი წითელი ვარდი რომ დაეხვედრებინათ, ჩვენ კი „ქართული ოცნების" 200 ცალი გაზეთი დავარიგეთ იქ იძულებით შეკრებილ ხალხში. ისიც ძალიან კარგად მახსოვს, ცაგერის პოლიცია რომ ვერ მოვიდა ამ გაზეთების ჩამოსართმევად და სწორედ ამათმა, დღეს რომ „ხელმძღვანელების" სკამი მიითვისეს, ხონის პოლიცია მოგვიგზავნეს. 2012 წლის 4 ივნისს ბ. ღურჭუმალიძეს „დაავიწყდა" დ. ასათიანის დიდი შრომა-გარჯა მის გადეპუტატებაზე და „კუდელი" არჩაიას დახმარებით მას „გააძრო" გამგებლის სკამი. აი, აქედან კი იწყება მართლაც თავდავიწყება! ახლოვდება საპარლამენტო არჩევნები, მე ჩემს თანამოაზრეებთან ერთად ბევრჯერ გავხდი ასეთი ფაქტების მომსწრე: გამგეობის შენობაში მხოლოდ 4-5 ადამიანი იყო, ვინც მაშინ „ქართული ოცნების" გაზეთის წაკითხვას ბედავდა.

მაშინდელი გამგებელი ბ. ღურჭუმალიძე ხშირად გვემუქრებოდა — „თავი დაგვენებებინა ამ მაკულატურის გავრცელებისათვის, თორემ მალე მოვა 1 ოქტომბერი და ჩვენ ბრიგინ-ბრიგინით ჩაგვარბენინებდნენ გამგეობის კიბეებზე". მერე ოჯახი, ბავშვები მივატოვე და რაჭაში წავედი „ინფო-9"-ის ჟურნალისტად. მრცხვენოდა, ვანოს, გიგის შეხვედრებზე ყველაზე მეტი ხალხი ლეჩხუმიდან გადმოდიოდა, არსებობს „ინფო-9"-ის მასალები ამის შესახებ და ამ ხალხს მაშინ ამაყად მოუძღოდათ გამგებელი ბ. ღურჭუმალიძე.

2012 წ. 21 აგვისტოს ცაგერის მუნიციპალიტეტის 3 დაუმორჩილებელ საჯარო სკოლაში ნაციონალების შტაბის მესვეურებმა, სადაც მთლიანად იყო ჩართული ბ. ღურჭუმალიძე, შემოიყვანეს გენერალური ინსპექცია, რომელიც თვითონ ამბობდნენ, დასასჯელად და ჭკუის სასწავლებლად. ერთ-ერთი იყო ცაგერის საჯარო სკოლა, რომლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეც მე გახლდით. რაჭაში დამირეკა სკოლის დირექტორმა და მთხოვა, სასწრაფოდ გადმოვსულიყავი, კითხვებზე უნდა მეპასუხა. დაძაბული სამუშაო რეჟიმი მქონდა (ნახეთ რაჭაში ჩემს მიერ მომზადებული სიუჟეტები), 2 დღის შემდეგ მოვახერხე ცაგერში ჩამოსვლა. იცით, როგორ მიყურებდნენ გენერალური ინსპექციის სულ ახალგაზრდა ბიჭები? როგორც რეციდივისტს. იურისტმა ასეთი კითხვით მომმართა, როგორ მოვხვდი მე, ოპოზიციონერი, ცენტრალური სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარედ? ღიმილით ვუპასუხე, რომ ამირჩიეს და კითხვა იქეთ შევუბრუნე — საიდან ფლობდა ასე დაწვრილებით ჩემს შესახებ ინფორმაციას? მიპასუხა, რომ ყველაფერი იცოდა რაიონის ხელმძღვანელობისაგან. დამიწყო შეგონება, რომ ნაცები კიდევ დიდხანს იქნებოდნენ ხელისუფლებაში და მე გავფრთხილებოდი შვილებს და საკუთარ თავს. გადაუჭარბებლად ვიტყვი, საკუთარი სიცოცხლეც კი საფრთხეში ჩავაგდე. დიახ, ჩემნაირმა გაუტეხელმა, უშიშარმა ადამიანებმა, ხალხმა, რა თქმა უნდა, ბატონი ბიძინას ძალისხმევით მოვიყვანეთ 1ოქტომბერი, სხვანაირი 1ოქტომბერი და არა ისეთი, როგორითაც გვემუქრებოდა ბ. ღურჭუმალიძე. როცა მე და ჩემნაირები თავგანწირულად ვიბრძოდით, ბ. ღურჭუმალიძე და ძმანი მისნი პრეზიდენტის ფონდიდან გამოყოფილ თანხებს 560,0 ათას ლარს, ნაციონალი მაჟორიტარის შტაბში ანაწილებდნენ მასთან და გამგებელთან დაახლოებულ პირებზე, ნაციონალებზე, ისე რომ, ხარჯთაღრიცხვები არ იყო შედგენილი. რაღა თქმა უნდა, ეს აისახებოდა მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკურ შედეგებზე. ყველაფერი კარგად ჩანს ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2011-2013 წლების საფინანსო-ეკონომიკური შედეგების შესაბამისობის აუდიტის დასკვნიდან.

დიახ, ყოფილი გამგებელი ბ. ღურჭუმალიძე, რომელსაც პასუხისმგებლობა ეკისრება 2012 წელში მთელ რიგ შეუსაბამობაზე და კანონმდებლობის დარღვევით დაუსაბუთებლად ანაზღაურებულ რამდენიმე ათეულ ათას ლარზე, მისმა დირექტორმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ „დაგვინიშნა".

რაიონის ნაციონალი მაჟორიტარი, როცა მისმა პარტიამ ქვეყანაში არჩევნები წააგო, იძულებული გახდა მისი ფავორიტი ბ. ღურჭუმალიძე გამგებლის თანამდებობიდან გადაეყენებინა და თავის ბიუროში წაეყვანა. ამით უნდოდა, ჩვენი ხელისუფლებისთვის ესიამოვნებინა და თვალში ნაცარი შეეყარა, რაც სამწუხაროდ, გადასარევად მოახერხა. როცა 2014 წლის ადგილობრივი არჩევნები მოახლოვდა, მან მოინდომა კოალიცია „ქართული ოცნების" მაჟორიტარული და პროპორციული სიები თავისი ყურმოჭრილი ნაციონალებით აევსო. მოინდომა და აისრულა — ქ.ცაგერის მაჟორიტარად დასახედა ნაციონალი, ამჟამად საკრებულოს თავმჯდომარე ბ. ყურაშვილი. ბ. ღურჭუმალიძის „კოალიციის" კვოტით ჩასმა გაუპროტესტეს, თანხმობა ვერ მიიღო და ის საინიციატივო ჯგუფით დაუპირისპირდა ღვირიშის თემში „ქართული ოცნების" კანდიდატს. ნაციონალი ხაბულიანი კოალიციის ერთგულებას ეფიცებოდა ზევით, აქ კი ცაგერში, აბობოქრებული გვებრძოდა „ქართული ოცნების" კანდიდატებს. მე ლუხვანოს თემის მაჟორიტარი ვარ, ჯერ თავისი ფირმა „ცეკურის" თანამშრომელი ჩამისვა საინიციატივო ჯგუფით, როცა კითხვა დავსვი, ბოლოს და ბოლოს ვის უჭერდა მხარს ხაბულიანი, მისმა ბიუროს ხელმძღვანელმა მიპასუხა, რომ კოალიციას და ეს პიროვნება კანდიდატად აღარ წარადგინოს, მისი ფირმის თანამშრომელი იყო და მთლად ღია ბრძოლა გამოსდიოდა. მან კოალიციის კანდიდატებს ჩაუსვა თავისი კანდიდატები და „ქართულ ოცნებას" 16 მაჟორიტარიდან უხეშად რომ ვთქვად, „წაართვა" 6 მაჯორიტარი. ისმის კითხვა — რანაირად უჭერს ხაბულიანი „ქართულ ოცნებას"' მხარს, როცა პოლიტსაბჭოზე გადაწყვეტილი კოალიციის კანდიდატების ჩასაძირად ყველაფერი გაიღო. პირადად მე მებრძოდა ყველა გზითა და ხერხით. ვის აღარ ურეკავდნენ ტელეფონზე, იტალიაში სამუშაოდ წასული ჩემი თანასოფლელებიც კი მოძებნეს. იმდენად გადავიდნენ ზღვარს, რომ საჯარო სამსახურებშიც ურეკავდნენ ჩემს მოგვარეებს მისი ბიუროს წარმომადგენლები, რომ სერგოს ინტერესებში იყო, რომ მე არჩევნები აუცილებლად უნდა წამეგო. არაფერი გამოუვიდათ, ვერ გატეხეს, ვერ იყიდეს ჩემი თემის მოსახლეობა. 2 წელი გავიდა მისი მაჟორიტარობიდან და ჩემი თემის მოსახლეობას ის არჩევანიდან თვალით აღარ უნახავს. ხალხის ნებას ვერ აჯობა და გავიმარჯვე 72%-ით, ზემოთ ვახსენე, რომ კოალიციის ქვედანაყოფებში მან მოახერხა გარიგება იქ შერჩენილი ნაცების მეშვეობით და მაჟორიტარული და პროპორციული სია ნაცებით გადაფარა და სწორედ ამ ხალხის გამოყენებით, პირველ რიგში კი საკრებულოს თავმჯდომარის ძალისხმევით მოახერხა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ დასახელებული ჩემი კანდიდატურა ჩაეგდო 4 ხმით.

თავად საკრებულოს თავმჯდომარემ არაერთგზის აღიარა, რომ ეს ხაბულიანის დავალება იყო. განმეორებით კენჭისყრა რომ ვითხოვეთ, რა დამავიწყებს, როგორ წამოხტა სკამიდან ჯერ დაუსახელებელი ბ. ღურჭუმალიძე, ნერვებმა უმტყუნა და არავითარ შემთხვევაშიო, გაჰყვიროდა. ხაბულიანის მუქარა და შანტაჟი ტელეფონით გრძელდებოდა ჩემს თვალწინ საკრებულოს წევრებზე. პირდაპირ აგინებდათ, კინაღამ ხომ გავიდა საღინაძე, რატომ მიიღო ამდენი ხმებიო. ასეთი ზეწოლით და შანტაჟით დაგვინიშნა ნაციონალმა ხაბულიანმა ნაციონალი ღურჭუმალიძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ. მაგრამ მისი სცენარი აქ არ მთავრდება — უახლოეს გეგმებში შედის საკრებულოს თავმჯდომარედ ბ. ღურჭუმალიძის დანიშვნა. ვინ ან რა შეუშლის ხელს, რომ ესეც აისრულოს? შანტაჟი და მუქარა ჩემს მიმართ არ შეწყვეტილა, როცა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გავხდი და სამუშაო ოთახი მოვითხოვე, მოადგილე ღურჭუმალიძე ასე დამემუქრა: „ხმა გაიკმინდე, სასამართლოებში გაწანწალებ, სინაზე გაბმული ძაღლივით უნდა გაყეფო მთელი 4 წელიო(?!)". მერე აპარატის უფროსმა დაურეკა ტელეფონით ჩემს მეუღლეს, სთხოვა რომ საკრებულოს თავმჯდომარესთან მისულიყო. ბატონმა მოადგილემ ჩემს მეუღლეს უთხრა: „რომ თუ არ გავჩერდებოდი და ხმას ამოვიღებდი, ის შეკრებდა „თავის ბიჭებს" და თანამდებობიდან გადამაყენებდა(?!)".

ეს მისგან უცხო არაა, შანტაჟი და მუქარა ახალაიების, ყოფილი „კუდელის" არჩაიას, გივი თარგამაძესთან აქვს ნასწავლი. არ დაგავიწყდეთ მათი თანაგუნდელი, მათი იდეების გამტარებელია ეს ბატონი. ესეც არ იკმარა და მერე მეუღლეს თვითონ დაურეკა ტელეფონზე —„საქმის გარჩევას გასწავლი როგორ უნდაო." ეჭვი არ მეპარება, ესეც ხაბულიანის დავალებაა იმისთვის, რომ როგორც თვითონ იტყვიან, ჭკუა მასწავლონ. ერთი რამ ვერ გავიგე — რატომ და რისთვის უნდა მაწანწალონ უდანაშაულო ქალი სასამართლოებში დამნაშავეებმა. მათ ავიწყდებათ პირველი, რომ ქალი ვარ და ტონს დაუკვირდნენ და მეორე, საკრებულოს წევრზე მუქარა და შანტაჟი კანონით ისჯება. თუმცა, ამათგან მე არაფერი გამიკვირდება, არც საქციელი, არც ლოგიკა. მიკვირს ერთი რამ — გაიძახიან, თითს ვერავინ დაგვაკარებს, ვიდრე ერასტი მეტრეველი (ლაპარაკია კოალიციის რეგიონალურ შტაბის უფროსზე) მალხაზ მჭედლიშვილი კოალიციის ცენტრიდან, ასახელებენ სპეც. სამსახურის რეგიონალურ ხელმძღვანელს, პოსტებზე არიანო. ნამდვილად არ მინდა დავიჯერო, რომ მათ მიერ დასახელებული ადამიანები მონაწილეობენ ნაციონალების დადგმულ სცენარში. მაგრამ „კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდებაო"... სამწუხაროდ, ბევრი უტყუარი ინფორმაცია მაქვს არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ, რაც ცაგერის რაიონში ხდებოდა და ხდება. კი, ბატონო, არსებობს კალამი ნებისმიერი ადამიანის მომავლის დასაწერად, მაგრამ მაჩვენეთ საშლელი, ვინმეს წარსულის წაშლა რომ შეძლოს? ამონარიდი სახელმწიფო აუდიტის დასკვნიდან: „2012 წლის პირველი ივლისიდან წლის ბოლომდე 73 ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ დაქირავებულ მანქანა-მექანიზმების ღირებულებაზე დარიცხული და შემსყიდველის მიერ ფაქტობრივი დანახარჯების წარმოდგენის გარეშე დაუსაბუთებლად ანაზღაურებადი ზედნადები ხარჯი და გეგმური დაგროვება ჯამური თანხით — 31 ათასი ლარი.

2012-2013 წ. ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ სხვადასხვა მიმწოდებელთან გაფორმებული ხარჯთაღრიცხვები მოიცავდა გაუთვალისწინებელ ხარჯებს, მაგრამ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტებში გაშიფრული ის არის ამ მუხლით გაწეული ხარჯი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება 13,8 ათასი ლარის გაუთვალისწინებელი ხარჯის რეალობის დადასტურება.

გაგრძელება **მე-6 გვერდზე**

„არსაიდან მოსული" და „ავანტურისტი, უჭკუო და ამბიციური" კვირის სცენაზე

მე-3 გვერდიდან

„ერთი ავანტურისტი, უჭკუო და ამბიციური მინისტრი ჩამოშორდა მთავრობას..."

პრემიერ-მინისტრმა ირალი ღარიბაშვილმა ირაკლი ალასანიას პოლიტიკურ სვლას საკმაოდ მწვავედ და უხეშად უპასუხა. მან ირაკლი ალასანია და სხვა მინისტრები საბოტაჟში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ ასეთი — ავანტიურისტი, უჭკუო და ამბიციური მინისტრის ჩამოშორება უკეთესიც კი არის. მან ირაკლი ალასანია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან" ფარულ ფლირტშიც კი დაადანაშაულა. ირაკლი ღარიბაშვილი მიიჩნევს, რომ ალასანიამ თავისი განცხადებებით ქვეყნის იმიჯს ზიანი მიაყენა. პრემიერის თქმით, საქართველო იმსახურებს მთავრობას, რომელიც კორუფციისგან შორს დგას. მისივე თქმით, კორუფციასთან ბრძოლა ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტია და არანაირ დათმობაზე პოტენციური კორუფციის გამოვლენაში არ წავა.

„ჩვენ გვეყოლება მყარი უმრავლესობა პარლამენტში და მთავრობა გააგრძელებს კიდევ უფრო ეფექტურად მუშაობას. მეორე მხრივ, ცუდიც არ არის, ის, რომ მალე მოხდა ასეთი მოღალატე ადამიანების ჩამოშორება ჩვენი გუნდიდან, ეს უკეთესია ჩვენი ქვეყნის და ჩვენი გუნდისთვის. მათ არ ეცოდებათ ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი, რაც საწყენია. გუშინ რაც გააკეთეს ეს არის დამაზიანებელი ჩვენი ქვეყნისთვის. მოგვიწევს კიდევ ერთი-ორი კვირა ინტენსიურად მუშაობა, რომ ყველა აბსურდული კითხვა მოვხსნათ, მაგრამ ჩვენ ამას შევძლებთ. მინდა, მოსახლეობას მოვუწოდო, რომ დამშვიდდნენ, რეალურად არაფერი ხდება — ერთი ავანტურისტი, უჭკუო და ამბიციური მინისტრი ჩამოშორდა მთავრობას, ამით ცუდიც არაფერი მომხდარა. მინდა გავიხსენო, რომ ერთადერთი მინისტრი, რომელიც ღიად ლობირებდა და მფარველობდა „ნაციონალებს" იყო ირაკლი ალასანია, დაწყებული გიგი უგულავათი, ბოკერიათი. ასე რომ, ჩემში ყველა კითხვას აქვს პასუხი," — განმარტა **ღარიბაშვილმა.**

ღარიბაშვილის განცხადება უპასუხოდ არ დატოვეს „თავისუფალმა დემოკრატებმა." ვიქტორ დოლიძემ განაცხადა, „ირაკლი ღარიბაშვილისა, თუ ნებისმიერი სხვა ადამიანის მიერ აღნიშნულ საკითხზე გაკეთებული განცხადებები აბსოლუტურად აბსურდია".

„მინდა ერთ რამეს გავუსვა ხაზი, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან" თანამშრომლობას გამოვრიცხავ. ევროპული, ევროატლანტიკური, საპარლამენტო, საკომიტეტო თანამშრომლობა ეს ერთი საქმეა, მაგრამ „ნაციონალურ მოძრაობასთან" რაიმე პოლიტიკურ კავშირს მე, ვიქტორ დოლიძე, ისევე როგორც ირაკლი ალასანია, ალექსი პეტრიაშვილი და ჩვენი პარტიის სხვა ლიდერები, გამოვრიცხავთ. ეს არაერთხელ განგვიცხადებია, ამიტომ, ირაკლი ღარიბაშვილი, თუ ნებისმიერი სხვა აღნიშნულ საკითხზე რა განცხადებებს და სპეკულაციებს დაიწყებს, არის აბსოლუტურად აბსურდი. ჩვენ ამისთვის არ გვიბრძოლია," — განაცხადა **ვიქტორ დოლიძემ**.

როგორც „თავისუფალი დემოკრატების" წევრმა ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, ის არ აპირებს, რომ პრემიერის მიერ ირაკლი ალასანიას კრიტიკაზე რაიმე დამატებითი კომენტარი გააკეთოს.

„მე არ მგონია ეს ტალახის სროლა რაიმე ღირსებას მატებდეს. პირიქით, მე ძალიან ვწუხვარ. პრემიერის ასეთი გამონათქვამები სახელმწიფოსა და მთავრობის იმიჯს კიდევ უფრო მეტად აზიანებს. არ ვაპირებ რაიმე დამატებითი კომენტარის გაკეთებას ან პასუხის გაცემას იმ ბრალდებებსა და შეურაცხყოფაზე, რა კამპანიაც პრემიერმა წამოიწყო," — განაცხადა **აბაშიძემ.**

ამასთან, ზურაბ აბაშიძემ კომენტარი გააკეთა პრემიერის იმ განცხადებაზე, რომლის თანახმადაც, საზოგადოება თავდაცვის ყოფილი მინისტრის შესახებ ბევრ სიურპრიზს გაიგებს. „სიმართლე გითხრათ, ხუმრობითაც კი ვთქვი, ქინდერ სიურპრიზს გვიმზადებს-მეთქი" — განაცხადა აბაშიძემ.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ალასანიას პასუხი პრემიერის განცხადებებზე კი ასეთი იყო — „მართალი კაცები, ვისაც სახე აქვთ, სახეს არ კარგავენ."

„ჩემთვის გულდასაწყვეტია ის, რომ პრემიერ-მინისტრი ყველანაირ კორექტულობას გასცდა. ჩემი აზრით, მართალი კაცები, ვისაც სახე აქვთ, ისინი სახეს არ კარგავენ. ამ შემთხვევაში პრემიერ-მინისტრმა სახე დაკარგა. ერთს ვიტყვი, რომ მე მაინც ბუნებრივია, მეძვირფასება ის ერთად განვლილი პერიოდი და ბუნებრივია, მე მადლიერი ვარ იმისი, რაც ერთად გავაკეთეთ. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკამ და იმ ნაბიჯებმა, რაც პროკურატურამ გადადგა, ჩვენი გზები გაყო, თუმცა, ყველას მოვუწოდებ, რომ კორექტულობის ფარგლებში დარჩნენ. მგონია, რომ ჩვენი პრემიერ-მინისტრის მხრიდან სახის დაკარგვა ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს," — განაცხადა **ალასანიამ.**

ირაკლი ალასანიას თქმით, ის პრემიერს იმავეთი ვერ უპასუხებს, რადგან ინსტიტუციებს სკემს პატივს.

„აქედან გამომდინარე, მე მინდა მას მოვუწოდო, რომ მეორეჯერ ასეთი რამ აღარ გააკეთოს. უბრალოდ, ეს არის არასწორი საზოგადოების მიმართ, ჩემს მიმართ და ბუნებრივია, თავის კოლეგების მიმართ," — განაცხადა ალასანიამ.

რაც შეეხება მასალების გამოქვეყნებას, რომელთა შესახებაც პრემიერი საუბრობდა, ირაკლი ალასანიას თქმით, „მათ რაც უნდათ, ის აკეთონ".

„ბოლო პერიოდში პროკურატურას მუქარის მეტი არაფერი გაუკეთებია. სამწუხაროდ, ღარიბაშვილი იგივეს აგრძელებს" — აღნიშნა ალასანიამ.

„მე ვიცი, რომ ამ ყველაფრის სამიზნე მე ვარ..."

ბუნებრივია, რომ მოვლენების განვითარებიდან გამომდინარე, ყველაზე ლოგიკური კითხვა არის — ხომ არ მივა ყოფილ მინისტრამდე? ალასანია ამბობს, რომ არაფერს გამორიცხავს და ყველაფერს ელოდება: „მე ვიცი, რომ ამ ყველაფრის სამიზნე მე ვარ. მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ეს უდანაშაულო ბიჭები უნდა გამოვიდნენ და თუ რამე შეკითხვები აქვთ, მოვიდნენ ჩემთან." თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, ირაკლი ალასანია ისევ ფიქრობს, რომ სამიზნე არა მისი, როგორც კონკრეტული პოლიტიკოსის რეიტინგია, არამედ — საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანება.

„ეს ხდება იმისათვის, რომ ხელი შეეშალოს იმ მიზნების შესრულებას, რომელიც ქვეყანას აქვს დასახული ევროატლანტიკურ სივრცეში სრული ინტეგრაციისთვის. როგორც ელჩმა აღნიშნა, ისინი დაინტერესებული იქნებიან, რომ გამოძიება წარიმართოს, მაგრამ გამოძიება ღიად ვერ მიმდინარეობს, ადვოკატებს მასალები არ აქვთ. დაკავებულები ერთი კვირა საპატიმროში აუხსნელი მიზეზით იმყოფებოდნენ და ის ეჭვები მყარდება, დღითიდღე საქართველოს აზიანებს. დღეს ჩემი მთავარი ამოცანაა, რომ ღია გამოძიება სწრაფად დაიწყოს, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას და არავის მიეცეს საშუალება, შებღალოს იმ სამოქალაქო პირების და დაკავებულების სახელი, ასევე ჩემი პირადი ღირსება. ამიტომ ამ საქმეს ბოლომდე მივყვები და საერთაშორისო თანამეგობრობა ამ კუთხით ძალიან ყურადღებით იქნება" — განაცხადა **ალასანიამ.**

თუმცა, კიდევ ერთი რამ უნდა ითქვას: საზოგადოებაში არსებობს აზრი, რომ ეს ყველაფერი წინასწარ გათვლილია და ირაკლი ალასანია ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმებით გადავიდა ოპოზიციაში, რათა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პოზიციები დაასუსტოს და ძირითადი ოპოზიცია ქვეყანაში ისევ კოალიციიდან შეიქმნას. ოღონდ, რამდენად გამართლდება ეს ვერსია, ამას დღეს ვერ შევამოწმებთ და პოლიტიკური მოვლენების განვითარებას უნდა დაველოდოთ.

ციტნე გაბაძაძე

პედაგოგთა პროფკავშირი 1 სექტემბრიდან ხელფასების მატების პრინციპს ეწინააღმდეგება

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი (სპმთპ) პედაგოგთა საბაზო ხელფასის ნაწილობრივი გაზრდისა და პედაგოგთა კატეგორიების მიხედვით შრომის ანაზღაურების მომატებას ეწინააღმდეგება და საგანგებო განცხადებას ავრცელებს, სადაც მთავრობას და პარლამენტს მიმართავს. განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, პედაგოგის შრომის ანაზღაურების გაზრდასთან დაკავშირებით, ეწინააღმდეგება და თვისობრივად განსხვავდება იმ დაპირებებისაგან, რაც საზოგადოებას აცნობა პრემიერ-მინისტრმა: „ხელისუფლებამ განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგია შეიმუშავა, რომელმაც ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს სრულ ინტეგრაციას ხელი უნდა შეუწყოს. მასწავლებლის ხელფასი იქნება მზარდი 2015-16-17 წლებში, პედაგოგთა ხელფასი 2015 წლიდან ეტაპობრივად გაიზრდება." 3 ნოემბრის მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით შემოთავაზებულია შერეული მოდელი — საბაზო ხელფასის ნაწილობრივი გაზრდისა და პედაგოგთა კატეგორიების მიხედვით შრომის ანაზღაურების მომატების შესახებ. წარმოდგენილი მოდელის პრინციპულად წინააღმდეგია პედაგოგთა საზოგადოება და სპმთპ.

ჩვენ ვითხოვდით და ვითხოვთ, პედაგოგის საბაზო ხელფასი გაიზარდოს ეტაპობრივად და უახლესი 3 წლის განმავლობაში გაუთანაბრდეს საჯარო სამსახურში დასაქმებულთა საშუალო ხელფასს. გაზრდილი საბაზო ხელფასის შესაბამისად განისაზღვროს კატეგორიებს შორის განსხვავება. ვფიქრობთ, ჩვენი მოთხოვნა სამართლიანია. განვლილი წლების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სასერტიფიკაციო დანამატების და კატეგორიებს შორის სახელფასო განსხვავებების მეშვეობით, პედაგოგთა ხელფასის ზრდა წარმოადგენდა ფარსს. იქმნებოდა ილუზია იმისა, რომ სახელმწიფო ზრუნავდა პედაგოგთა სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი მოტივაციისა და განათლების ხარისხის ამაღლებისათვის. მაგალითად, უამრავი ხელოვნური პრობლემა იყო შექმნილი 1000-ლარიანი ხელფასის დამადასტურებელი სერტიფიკატის და 75-ლარიანი სასერტიფიკაციო დანამატის გაცემის პროცესში. ამის არაერთი ფაქტი გაგვაჩნია. გამომდინარე იქედან, რომ პედაგოგთა 1%-მაც კი ვერ მიიღო 1000-ლარიანი შრომის ანაზღაურება, აღნიშნულმა ცვლილებებმა ვერ გადაჭრა მასწავლებლის პრობლემა.

სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობის მიერ 3 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილებაც, ჩვენი აზრით, იგივე ტენდენციის გაგრძელებაა. ფაქტობრივად, საბაზო ხელფასი იზრდება მხოლოდ 50 ლარით, დანარჩენი ხელფასების მატება დაკავშირებულია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის პროექტის" მოთხოვნებთან, რომელიც ჯერ არ დამტკიცებულა.

გაუგებარია ის გადაწყვეტილებაც, რომ პედაგოგის საბაზო ხელფასი, სიმბოლურად 50 ლარით უნდა გაიზარდოს 2015 წლის სექტემბრიდან, მაშინ როდესაც საბიუჯეტო წელი იწყება 1 იანვრიდან. მივმართავთ საქართველოს პარლამენტს და საქართველოს მთავრობას: პედაგოგის საბაზო ხელფასი გაიზარდოს 2015 წლის 1 იანვრიდან და საბაზო ხელფასის ზრდა გაიმიჯნოს პედაგოგთა კატეგორიების მიხედვით სახელფასო განსხვავებისაგან. ასეთი მიდგომით უფრო მეტი მოტივაცია გაუჩნდებათ პედაგოგებს პროფესიული ზრდისათვის. წარმოდგენილი მოდელი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებითად ვერ ცვლის პედაგოგის მდგომარეობას და შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგთა საზოგადოებას მის მიმართ გამოკვეთილი უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. ალბათ დადგა დრო, რომ ყველა, ვისაც ხელეწიფება, უფრო ღრმად ჩაწვდეს მასწავლებლების მძიმე სოციალურ მდგომარეობას, პედაგოგებთან დაკავშირებულ პრობლემატიკას და გადაწყვეტილებების მიმღებმა პედაგოგთა უფლებების შელახვის ნაცვლად, იზრუნონ ქვეყნისათვის უმთავრესი პროფესიის პრესტიჟის ამაღლებისათვის. პედაგოგთა საზოგადოებას შესწევს ძალა, საქართველოს კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში დაიწყოს ბრძოლა შექმნილი მდგომარეობის შესაცვლელად." — ნათქვამია განცხადებაში.

news.edu.aris.ge

მასწავლებლები გაფიცვებს იწყებენ

უახლოეს დღეებში საქართველის პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (სპმთპ) ინიციატივით, საჯარო სკოლების პედაგოგები საპროტესტო, გამაფრთხილებელ აქციებს გამართავენ.

დაგეგმილია მიმართვა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოსთანაც, რათა არ მოხდეს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იმ ფორმით მიღება, სადაც პედაგოგთა საბაზო ხელფასის ე.წ. ეტაპობრივი ზრდაა ჩადებული.

პედაგოგები მთავრობის მიერ 3 ნოემბერს მიღებულ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომლის მიხედვითაც, საბაზო ხელფასი იზრდება მხოლოდ 50 ლარით, დანარჩენი ხელფასების მატება დაკავშირებულია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის პროექტის" მოთხოვნებთან, რომელიც ჯერ არ დამტკიცებულა.

როგორც საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის თავმჯდომარე მაია კობახიძე „კომერსანტთან" აცხადებს: გაუგებარია, რატომ იზრდება პედაგოგის საბაზო ხელფასი, სიმბოლურად 50 ლარით 2015 წლის სექტემბრიდან, მაშინ როდესაც საბიუჯეტო წელი იწყება 1 იანვრიდან. გარდა ამისა, მისი თქმით, პროფკავშირები ეწინააღმდეგება პედაგოგის შრომის ანაზღაურების გაზრდის მიბმას კატეგორიებს შორის განსხვავებებზე. კობახიძე განმარტავს, რომ საბაზო ხელფასის ზრდა უნდა გაიმიჯნოს პედაგოგთა კატეგორიების მიხედვით სახელფასო განსხვავებისაგან და საბაზო ხელფასი განმავლობაში გაიზარდოს ყველა პედაგოგისთვის.

კობახიძე აცხადებს, რომ ჩვენ გვყავს 1000-ლარიანი პედაგოგები, რომლებიც პედაგოგთა საზოგადოების 1 პროცენტიც კი არ არის. „როდესაც სერთიფიცირებულ მასწავლებელს მიეცემა 75-ლარიანი დანამატი და დღეს ასეთი მასწავლებელი ქვეყანაში მხოლოდ 20 000-ია, დანარჩენი 42 000 პედაგოგის სოციალური პირობები ამით ვერ გაუმჯობესდება." მისი შეფასებით, კვალიფიკაციების მიხედვით განსხვავებულმა ანაზღაურებამ მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟი ვერ აამაღლა და პედაგოგი კვლავ უმძიმეს მდგომარეობაში დარჩა.

საქართველის პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი ითხოვდა და ითხოვს, პედაგოგის საბაზო ხელფასი გაიზარდოს ეტაპობრივად და უახლესი 3 წლის განმავლობაში გაუთანაბრდეს საჯარო სამსახურში დასაქმებულთა საშუალო ხელფასს. გაზრდილი საბაზო ხელფასის შესაბამისად განისაზღვროს კატეგორიებს შორის განსხვავება. პროფკავშირები ამ ინიციატივით მიმდინარე წლის თებერვალში გამოვიდა, რაზეც თანხმობა მიიღო როგორც განათლების სამინისტროსგან, ისე პრემიერ-მინისტრისგან.

სოფო ქსოვრელი
commersant.ge

MDF: ყველაზე დიდი საბიუჯეტო დაფინანსება 2013-14 წლებში ინტერპრესნიუსმა მიიღო

მედიის განვითარების ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მედიის შესახებ კვლევის წინასწარ შედეგებს აქვეყნებს და საინფორმაციო სააგენტოებს შორის არსებულ არათანაბარ კონკურენციაზე საუბრობს. MDF-ის კვლევა ასახავს უშუალოდ სამინისტროების ბიუჯეტებიდან საინფორმაციო სააგენტოებისთვის ინფორმაციის მომზადების, გავრცელების და სხვა მომსახურებისთვის თანხების გამოყოფის საკითხებს. MDF-ის შეფასებით, „სახელმწიფოს მიერ რვა საინფორმაციო სააგენტოს ბიუჯეტიდან დაფინანსება და ინფორმაციით მათი წინმსწრებად უზრუნველყოფა არათანაბარ პირობებში აყენებს სხვა საინფორმაციო სააგენტოებს, მით უფრო, რომ საქმე საჯარო ინფორმაციას შეეხება, რომელიც ყველასთვის თანაბრად უნდა იყოს ხელმისაწვდომი". კვლევის თანახმად, 18-დან მხოლოდ 5 სამინისტრო (იუსტიციის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების, ენერგეტიკის, რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის და ფინანსთა სამინისტრო) არ სარგებლობს საინფორმაციო სააგენტოების მომსახურებით და მათი ნაწილი საზოგადოებასთან ურთიერთობისას მხოლოდ რეკლამის ფორმას მიმართავს. ანგარიშის მიხედვითვე, თავდაცვის სამინისტროს ხელშეკრულებები ყველაზე მეტ საინფორმაციო სააგენტოსთან (8) აქვს გაფორმებული.

MDF-ის კვლევით, სამინისტროების უმეტესობას (11 სამინისტრო) და საქართველოს მთავრობის კანცელარიას ხელშეკრულებები აქვთ გაფორმებული შპს „ახალ ამბებთან" — სააგენტო ინტერპრესნიუსთან; შემდეგ ადგილზეა შპს „პირველი" — საინფორმაციო სააგენტო PIA (5 სამინისტრო). ყველაზე დიდი წილი საინფორმაციო სააგენტოებს შორის საბიუჯეტო დაფინანსებიდან 2013-3014 წლებში სწორედ ინტერპრესნიუსზე (IPN) (101 539,8 ლარი) მოდის, შემდეგია GHN — 48 690 ლარი, PIA — 43033,8 ლარი. MDF-ის ხელთ არსებული ინფორმაციით, აღნიშნულ პერიოდში სულ საინფორმაციო მომსახურების კონტრაქტების რაოდენობა 254 774,2 ლარს შეადგენს.

მედიის განვითარების ფონდისთვის გაურკვეველია სააგენტოების შერჩევის კრიტერიუმები, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ისეთი მედიასაშუალების დაფინანსება, რომელიც თავის ვებგვერდზე ჰომოფიურ მასალებს აქვეყნებს (მაგალითად, სააგენტო PIA-ს მიერ გაზეთ „ასავალ-დასავალის" მასალის გამოქვეყნება და გავრცელება, სათაურით „კონჩიტა ავლაბრის რეზიდენციაში მიიღეს"). ამასთან, კვლევის ავტორების შეფასებით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ოთხ სააგენტოსთან (IPN, PIA, GHN, medianews.ge) წინასაარჩევნო პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძვლად პრემიერ-მინისტრის განკარგულების მითითება, შესაძლოა, მიანიშნებდეს, რომ საინფორმაციო სააგენტოების სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდირება მთავრობის დონეზეა კოორდინირებული.

„სამინისტროების უმეტესობაში (18-დან 13 სამინისტრო) და საქართველოს მთავრობის კანცელარიაში დამკვიდრებული პრაქტიკა საინფორმაციო სააგენტოებისთვის ანაზღაურების გადახდა ისეთი მომსახურებისთვის, როგორიცაა დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად მათი საქმიანობის გაშუქება და მიწოდებული ინფორმაციის გავრცელება, რაც ხელყოფს მედიასაშუალებების სარედაქციოდამოუკიდებლობას; კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სამ საინფორმაციო სააგენტოსთან (PIA, GHN, medianews.ge) გაფორმებული ხელშეკრულება დამატებით მოიცავს ისეთ შინაარსობრივ ვალდებულებებს, როგორიცაა მიწოდებული მასალის საინფორმაციო ღირებულების განსაზღვრა (განთავსება განსაკუთრებული მნიშვნელობის ან მე-2 და მე-3 კატეგორიებში); განთავსების სიხშირის (გამოქვეყნება 30 წუთის, განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში 10 წუთის განმავლობაში) განსაზღვრა; სამინისტროს ანონსების მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა რედაქტორებთან და პროდიუსერებთან, რაც პრესსამსახურის თანამშრომელთა კომპეტენციას წარმოადგენს; სოციალურ ქსელებში სააგენტოების მიერ სტატუსების, ფოტო, ვიდეო და სხვა მასალების რეკლამირებას; სხვა სამინისტროების მიერ შესყიდულ მომსახურებაში შედის ჟურნალისტების ღონისძიებებსა და პრეს-კონფერენციებზე დასწრება; შემსყიდველის სურვილისამებრ ღონისძიებების გაშუქება; ინტერვიუები შეთანხმებულ საკითხებზე; დღის ფოტოს განსაზღვრა და სხვა საკითხები, რაც ჟურნალისტურ ავტონომიას განეკუთვნება, — ნათქვამია კვლევაში და აღნიშნულია, რომ დამკვეთის მიერ დაფინანსებულ მასალებს მედია უკრიტიკოდ და დამოუკიდებლად ვერ გააშუქებს. MDF შენიშნავს, რომ ამ კატეგორიის მასალები თავისი არსით არის სარეკლამო და მკაფიოდ უნდა იყოს გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან, წარწერით რეკლამა, რასაც სააგენტოები არ მიმართავენ.

„რეკლამისა და სარედაქციო მასალის ახალი ამბების კატეგორიაში მიწოდებას შეცდომაში შეჰყავს მკითხველი, რომელსაც არ აქვს შესაძლებლობა, ერთმანეთისგან გამიჯნოს სამინისტროების მიერ დაფინანსებული და რედაქციის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული მასალები; მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებულია ყოველთვიურად გაწეული მომსახურების რაოდენობა და არ არის დაკონკრეტებული გაწეული მომსახურების სახეობა, რაც ხშირად შესაძლოა, არამიზნობრივად იყოს გამოყენებული; საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში, რომლებიც IPN-ის საიტზეა განთავსებული, არ არის მითითებული კვლევის დამკვეთი, ამდენად რთულია იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რომელი გამოკითხვა დააფინანსა მთავრობის კანცელარიამ," — ნათქვამია მედიის განვითარების ფონდის კვლევაში.

MDF მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, გადახედოს საინფორმაციო სააგენტოების დაფინანსების არსებულ პრაქტიკას, „რომელიც ხელს არ უწყობს თავისუფალ კონკურენციას და საჯარო ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა მედიასაშუალებისთვის"; ასევე, ადეკვატურად გაიაზროს მედიასაშუალებებზე ისეთი საკონტრაქტო ვალდებულებების დაკისრების მიზანშეწონილობა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე სარედაქციო ავტონომიაში ჩარევას წარმოადგენს;

„შეიმუშაოს იმ ორგანიზაციათა შერჩევის კრიტერიუმები, რომლებსაც საინფორმაციო კამპანიის მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან აფინანსებს და გამჭვირვალე გახადოს პროცესი, რათა არ შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ საბიუჯეტო თანხების გამოყენება არა საზოგადოების ინფორმირების, არამედ ამა თუ იმ მედიასაშუალების დოტაციისთვის გამოიყენება; გამჭვირვალე და დეტალიზებული გახადოს დოკუმენტაცია მიღებული მომსახურების შესახებ, რათა გამოირიცხოს საბიუჯეტო სახსრების შიდა პარტიული კონფრონტაციის გაშუქების, ან კონკრეტულ ინდივიდებზე თავდასხმის მიზნით გამოყენება; სამინისტროებმა და სხვა საჯარო დაწესებულებებმა ვებგვერდზე გამოაქვეყნონ ინფორმაცია საინფორმაციო კამპანიებისთვის გამოყოფილი ყოველწლიური სარეკლამო ბიუჯეტების შესახებ და გაწეული ხარჯების დეტალური ანგარიში," — ნათქვამია MDF-ის კვლევაში.

ამასთან, მედიის განვითარების ფონდი მიმართავს საინფორმაციო სააგენტოებს, დაიცვან პროფესიული სტანდარტი და ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნონ სარედაქციო და სარეკლამო მასალა, რათა არ მოხდეს აუდიტორიის შეცდომაში შეყვანა და გამჭვირვალე გახდეს მთავრობის მიერ გაწეული ხარჯები.

„ჟურნალისტური საქმიანობა და გარე ორგანიზაციების პიარ-მომსახურება ინტერესთა კონფლიქტშია ერთმანეთთან, ამდენად მნიშვნელოვანია, მედიასაშუალებებმა ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნონ ასეთი სერვისები; სააგენტოს ან სხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის გაშუქებისას დაიცვან საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისთვის დადგენილი სტანდარტები. კერძოდ, მიუთითონ მეთოდოლოგიის ისეთი არსებითი რეკვიზიტები, როგორიცაა დამკვეთი, დამფინანსებელი, რესპონდენტთა შერჩევის მეთოდი და სხვა," — აღნიშნავს მედიის განვითარების ფონდი.

MDF-მა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ მედიაზე კვლევა საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვნილი დოკუმენტების ანალიზით ჩაატარა. კერძოდ, გამოითხოვა სამინისტროების და მთავრობის კანცელარიის მიერ 2013-2014 წლებში მედიასაშუალებებისთვის გადარიცხული თანხების ჯამური რაოდენობა, ასევე ინფორმაცია ინდივიდუალური მედიასაშუალებებისთვის გადარიცხული თანხების შესახებ; ხელშეკრულებების ასლები (2013-2014), რომლებიც ითვალისწინებს მედიასაშუალებების მიერ სამინისტროებისა და მთავრობის კანცელარიისთვის ინფორმაციის გავრცელებას, სარეკლამო და სხვა სახის მომსახურების გაწევას; ხელშეკრულებების საფუძველზე განხორციელებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტები (2013-2014).

tabula.ge

ბელა საღინაძე:

„ჩანერგილმა ნაცებმა ცაგერი ამჟავებულ აჯაფსანდალს დაამსგავსეს!"

მე-4 გვერდიდან

ამის შემომქმედი, ხელმომწერი გახლავთ მაშინდელი ნაციონალი გამგებელი ბ. ღურჭუმალიძე. ახლა ვეკითხები, ზემოთ დასახელებულ პირებს, ბატონებო, რანაირი საშლელი გამოიგონეთ ისეთი, რომ სახელმწიფო აუდიტის დასკვნას შლით? მაშინ როგორ, ვისი ხათრით, რის საფასაურად აუნთეთ მწვანე დამნაშავე ნაციონალ გამგებელს ჩემს ხელისუფლებაში? რატომ იყო გასაიდუმლოებული საარჩევნო სიები საოლქო კომისიაში შეტანამდე, თქვენ ხომ უშუალოდ იყავით ჩართული ამ სიის ფორმირებაში? ბევრი კითხვა არსებობს, მთავარი კი — რატომ იშვერენ თავად ისინი თითს თქვენსკენ? სულ ახლახან ცაგერში საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს საკრებულოს თავმჯდომარე. რაღა თქმა უნდა, ამ კომისიაში უსათუოდ ვიხილავთ მოადგილე ბ. ღურჭუმალიძეს, რომელმაც „ქართული ოცნების" წარმომადგენლებს 1 ოქტომბერს სისხლი ნამდვილად ვერ გაგვიშრო, რადგან ქვეყნის მასშტაბით მისმა ნაციონალებმა კრახი განიცადეს, ცაგერში კი იზეიმეს ნაციონალებმა საყვირებით გამარჯვება და „მავანთა" ხელშეწყობით ზეიმობენ დღესაც, რადგან ყველა საკვანძო თანამდებობა დამნაშავე ნაცებმა დაიკავეს სწორედ მათი წაქეზებით და რეკომენდაციით.

აი, ახლა კი ბ. ღურჭუმალიძე ნამდვილად შეასრულებს მუქარას და ჯავრს ამოიყრის „ქართული ოცნების" წარმომადგენლებზე. როგორც ჩანს, მამაზეციერმა ესენი მთლად გაასულელა, თორემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და აპარატის უფროსი ვეღარ მალავენ სულში რაც უზით, წამყვან თანამდებობებზე ბრძანდებიან და მთავრობას ლანძღავენ, ამას რა ჰქვია? საინტერესოა მათი რეკომენდატორების პასუხი, მე კი ვიცი რაც ჰქვია. ვაი, თქვენ, ვინც ამ თამაშს თამაშობთ და სიმართლეს არ ეუბნებით ბატონ პრემიერს, რაც რეგიონებში ხდება. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა ნაციონალების ბუდე-კერიებად არის გადაქცეული. დიახ, ამას ვამბობ ხმამაღლა, ცაგერის თვითმმართველობაში არის მეხუთე კოლონა, რომელიც ნაც. მოძრაობის კონტროლქვეშ არიან დღემდე და მათ მზეს ფიცულობენ. 2 წლის წინ ბიძინა ივანიშვილმა ამ ხალხს წაართვა ხელისუფლება და ამას ვერ ივიწყებენ. მათ საკუთარი აპოკალიფსური გეგმები აქვთ, რაზედაც უკვე ვისაუბრე და სასწრაფოდ ცდილობენ ამ გეგმის განხორციელებას: პირველი — ბ. ღურჭუმალიძის გათავმჯდომარეობა, მეორე — ჩემი თავიდან მოშორება, რადგან ბატონი ხაბულიანის ინტერესებში არ შევდივარ.

ერთი რამ ავიწყდებათ — ყველაზე დიდი თანამდედობა ჩემთვის ის მანდატია, რომელიც ჩემმა ამომრჩეველმა გადმომცა და ხელისუფლების ნდობა, რომ ვყოფილიყავი კოალიციის კანდიდატი. მე ხელთ მაქვს „ინფო-9"-ის კადრები, ნახეთ ნაციონალი ხაბულიანი და მისი ფავორიტები 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში როგორ მიმართავენ ამომრჩევლებს, როგორ მოიხსენიებენ ბატონ ბიძინას და „ქართულ ოცნებას". მე კი ყველა იმ პროცესის აქტიური მონაწილე ვარ, კოალიცია „ქართული ოცნება" რომ მოვიდა ხელისუფლებაში, ასეთივე აქტიური და ერთგული ვიქნები იმ ხაზის გატარებაში, ხელისუფლების უფლება-მოსილება რომ ჰქვია, ამათ კი არც მორალური, არც პოლიტიკური უფლება არ აქვთ ხელისუფლების სადავეებს ჩაებღაუჭონ. მათ ენაზე ბატონი ბიძინა რუსი ოლიგარქია, ბატონი პრემიერი — რუსული ჩექმა, ბატონი პარლამენტის თავმჯდომარე — ნულ-პროცენტიანი, ბატონი გუბერნატორი — არაფრისმაქნისი. თვითონ ვინ არიან? საიდან მოდიან და საით მიდიან? გარჩევა არაა ძნელი, ნიღაბი კი აქვთ, მაგრამ ნამდვილი სახე უჩანთ. ის, რაც ცაგერში ხდება, უტიფრობის ზღვარს გასცდა დიდი ხანია და ხელისუფლების დისკრედიტაციისკენაა მიმართული. ეჭვი არ მეპარება, ხელისუფლება სულ მალე ყველას და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს და თავის ადგილს მიუჩენს — ასეთი გეგმის შემკვეთებსაც, განმახორციელებლებსაც და მხარდამჭერებსაც. მე კი, უამრავი მუქარისა და შანტაჟის გამო, ხელისუფლებისაგან ჩემი და ჩემი ოჯახის უსაფრთხოების დაცვას ნამდვილად ვითხოვ, რადგან იმ კატეგორიის ხალხისგან, ვისაც ძალადობა აღაფრთოვანებს, არც არაფერია გასაკვირი და არც გამორიცხული — ისინი ხომ არჩაია-თარგამაძე-ახალაიების იდეოგიით არიან ნასაზრდოები და მათი დირექტივებით მოქმედებენ!"

ბელა საღინაძე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი

P.S. საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომაზე ოფიციალურად „ჭიატოვა" საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეობა! დარწმუნებული ვარ, „არა ნებითა ამისითა", არამედ სხვისითა"... ვინ იცის, რა აქვთ ჩაფიქრებული! ადგილი ვაკანტურია. ღმერთმა ნუ ქნას, ის ისეთმა პიროვნებამ დაიკავოს, ვინც „ქართული ოცნების" პროფესიონალ, მებრძოლ, ერთგულ კადრებს „სულს ამოხდის" და არსად გააჭაჭანებს! ამის ალბათობა, სამწუხაროდ, დიდია. ვნახოთ! ეს საცოდავი ცაგერი კი დიდი ხანია, ჩანერგილმა ნაცებმა ამჟავებულ აჯაფსანდალს დაამსგავსეს!

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: მოთმინება გმართებთ, რადგან თქვენი სურვილი ძნელად შეგისრულდებათ. იმუშავეთ საკუთარ თავზე. საყვარელ ადამიანთან პრობლემებს ადვილად მოაგვარებთ.

კურო: ეს დღეები წარმატებული არ არის ძველ ნაცნობებთან ურთიერთობისათვის, მშობლებთან დაძაბული ურთიერთობა გექნებათ. მეგობრებმა შეიძლება თეატრში ან კინოში დაგპატიჟონ. დიდი დრო დაუთმეთ საყვარელ ადამიანს.

ტყუპები: გარეგნობასთან დაკავშირებული პრობლემები შეგაწუხებთ. თუ დიეტის დაცვა გჭირდებათ, ნუ გადადებთ. შეიძინეთ ახალი ტანსაცმელი, შეიარეთ სილამაზის სალონში და შეიცვალეთ ვარცხნილობა.

კირჩხიბი: მოსალოდნელია ცვლილებები განხორციელდეს საქმეში. ყურადღებით იყავით პარტნიორის არჩევისას, ასეთი სიტუაცია დიდი ხანი არ გაგრძელდება. თავისუფალი დრო გაატარეთ ტრენაჟორების დარბაზში.

ლომი: კარგი დროა საკუთარ თავზე მუშაობისთვის. იყავით თავშეკავებულნი, ნუ იჩქარებთ და თქვენ მოგეცემათ ჩანაფიქრის მიღწევის შესაძლებლობა. მოსალოდნელია ახალი რომანტიული კავშირი.

ქალწული: თქვენ პატივმოყვარე ხართ და ამიტომ სიფრთხილე გმართებთ, პარტნიორებთან ურთიერთობაში საქმეები არ გაგირთულდეთ, ზოგჯერ ისინი თქვენს თანადგომასა და მხარდაჭერას საჭიროებენ.

სასწორი: მოერიდეთ სერიოზული გადაწყვეტილების მიღებას. არ არის გამორიცხული, პრობლემები ოჯახშიც შეგექმნათ. თუმცა, პირად ცხოვრებას გაცილებით ადვილად დაალაგებთ. თუ ვინმე თქვენს დადანაშაულებას დააპირებს, კონტრარგუმენტებით დაუმტკიცეთ, რომ მართალი ხართ.

მორიელი: კარგი დროა ახალი საქმის დაწყებისათვის. სამსახურეობრივი რომანი, შესაძლებელია, აშკარა გახდეს ხელმძღვანელობისათვის. ფრთხილად იყავით საჭესთან.

მშვილდოსანი: იქნება აქტიური შემოქმედებითი კვირა. ეს პერიოდი მიუძღვენით არა თქვენ თავს, არამედ საყვარელ ადამიანს.

თხის რქა: სიყვარული ამ კვირის დევიზია. თუ სიყვარული ჯერ არ გწვევიათ, ეს პერიოდი ამისათვის იდეალურია, ხოლო, თუ საყვარელი ადამიანი უკვე გყავთ, მისგან უამრავი სიურპრიზი გელით.

მერწყული: იყავით ზედმეტად ყურადღებიანი საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ. შეიძლება გადაწყვიტოთ ის პრობლემა, რომელიც დიდი ხანია არსებობს თქვენს პირად ცხოვრებაში.

თევზები: გმართებთ მოთმინება, რათა თავიდან აიცილოთ კონფლიქტი ახლობლებთან. მოიკრიბეთ ფანტაზია და არ ინანებთ. არის ალბათობა იმისა, რომ მიიღოთ პრემია.

ჰარვარდის უნივერსიტეტი მსოფლიოში კვლავ საუკეთესოა

მსოფლიოში 500 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის ჰარვარდი კვლავ საუკეთესოა. მსოფლიოში საუკეთესო უნივერსიტეტების ათეულში 8 ამერიკული, 2 კი ბრიტანული უნივერსიტეტია. სრულ რეიტინგში შესული საგანმანათლებლო დაწესებულებები 50 სხვადასხვა ქვეყნიდან არის წარმოდგენილი. საუკეთესო 50 უნივერსიტეტს შორის ასევე შედიან: კანადა, იაპონია, შვეიცარია, ავსტრალია, საფრანგეთი, გერმანია და ჩინეთი.

საუკეთესო უნივერსიტეტების პირველი ათეული კი ასე გამოიყურება:

1. ჰარვარდის უნივერსიტეტი (აშშ)
2. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიების ინსტიტუტი (აშშ)
3. კალიფორნიის უნივერსიტეტი - ბერკლი (აშშ)
4. სტენფორდის უნივერსიტეტი (აშშ)
5. ოქსფორდის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
6. კემბრიჯის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
7. კალიფორნიის ტექნოლოგიების ინსტიტუტი (აშშ)
8. კალიფორნიის უნივერსიტეტი ლოს ანჯელესში (აშშ)
9. ჩიკაგოს უნივერსიტეტი (აშშ)
10. კოლუმბიის უნივერსიტეტი (აშშ)

უფასო განცხადებები

იყიდება

- 50 $მ^2$ არასტანდარტული ერთოთახიანი ბინა (34 $მ^2$ ოთახი+16$მ^2$ სამზარეულო-სააბაზანო), ქუთაისის ცენტრში, საუკეთესო ხედით, სარემონტო. ფასი შეთანხმებით.

ტელ.: **(0 431) 24 40 66**

- იყიდება სამოსახლო ეზო ქუთაისში, ტყიბულის ქუჩაზე. 500 კვადრატული მეტრი. ფასი შეთანხმებით.

ტელ.: **599 41 27 49; 25 38 17**



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

როგორ განვათავსოთ განცხადება გაზეთ „P.S.“-ში („პოსტსკრიპტუმში“)

უფასოდ

ქვემოთ მოცემულ კუპონზე

განცხადებების მიღება ხდება კერძო პირებიდან

დაბეჭდვის თარიღი დამოკიდებულია კუპონის მიწოდების თანმიმდევრობაზე

კუპონი უნდა ჩაბარდეს

რედაქციაში - ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა 37ა;

სავაჭრო ცენტრ „ფუდმარტში“(ყოფილი „პოპული“) - წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“, რუსთაველის 141.

არ მიიღება კანონთან შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, ეროტიკული შინაარსის განცხადებები.

განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში

მცირე განცხადების კუპონი

აღნიშნე კატეგორია

უძრავი ქონება
☐ გავყიდი
☐ ვიყიდი
☐ გავაქირავებ

ავტო-მოტო
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი

სამსახური
☐ ვეძებ სამუშაოს

სხვადასხვა
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი
☐ სხვა

☐ ცხოველები

განცხადების შინაარსი

ტელ: >>

სახელი და გვარი (მხოლოდ რედაქციის ცნობისათვის)

კონტაქტი (მობილური ან სტაციონალური)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

☐ **არ ვარ განცხადების შინაარსთან დაკავშირებული კერძო მეწარმე**

☐ ვაცხადებ თანხმობას, ფირმის მიერ გამოყენებულ იქნას განცხადებაში აღნიშნული მონაცემები

ხელმოწერა გარკვევით _____

რედაქციას აქვს უფლება, კუპონზე შევსებული ერთჯერადი განცხადება დაბეჭდოს კუპონის ჩაბარების დღიდან 14 დღის განმავლობაში კუპონი (ერთჯერადი) არის ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან 3 კვირის განმავლობაში.

10.11.2014

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი** პირველად **სულიკო ფუტკარაძემ** ამოიცნო, შემდეგ დაგვიკავშირდნენ ნანა გოქაძე და ამირან კახიძე.

რას დაარქმევდით?

ირაკლი ალასანია

შსს მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

იტალიელები: „ქვეყანა რომ დაიქცეს, სამართალი უნდა აღდგეს.“

შაქრო გაბელაშვილი

დაგვიკავშირდით:

- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

ჯროსვორდი



ჰორიზონტალურად: 3. საფრანგეთის პოლინეზიის დედაქალაქი; 5. ქათმისებრთა რიგის ფრინველი; 6. მუსიკოსი ვანესა...; 8. გამოძახილი; 9. ერთ-ერთი აფრიკული ტომი; 11. ეგვიპტური მზის ღმერთი.

ვერტიკალურად: 1. ხმელეთის უდიდესი ცხოველი; 2. მეორე პირის ნაცვალსახელი; 3. ბურატინო იტალიურად; 4. სომხეთის დედაქალაქი; 7. ძლიერი ჟინი, ნდომა რაიმესი; 10. კომში.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად: 3. ბერთოლე; 5. ჭრელი; 6. სია; 8. ბუა; 9. გოლუა; 11. აბაშიძე.

ვერტიკალურად: 1. ბროლი; 2. ლოს; 3. ბარბუდა; 4. ეპიკურე; 7. კონია; 10. მაო.

„ლაზი ვორე“ — ლაზი მწერლის წიგნის პრეზენტაცია ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ლაზ მწერალ უმით ოსმანაღაოღლუს უმასპინძლეს. ღონისძიებას საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ანდრიაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, პოეტი თემურ ჩალაბაშვილი, ბიბლიოთეკის თანამშრომლები, სტუდენტები და წიგნის მოყვარულები დაესწრნენ.

5 ნოემბერს ლაზი მწერალის უმით ოსმანაღაოღლუს წიგნის „ლაზი ვორე“-ს პრეზენტაცია გაიმართა.

მწერალმა სტუმრებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ წიგნი საქართველოს და ქართველების სიყვარულს მიუძღვნა.

„დიდი ხანია დავდივარ საქართველოში, ბევრი მეგობარი მყავს და ვიტყვი, რომ ჩემი მეორე სამშობლოა. წიგნი „ლაზი ვორე“, რომლის პრეზენტაციაც გაიმართა, საჩუქარია ქართველი ხალხისადმი. მათგან მიღებული სიყვარულის სანაცვლოდ,“ — განაცხადა მწერალმა.

სამეცნიერო ბიბლიოთეკაში აღნიშნეს, რომ ახალგაზრდებმა უმით ოსმანაღაოღლუსგან უნდა ისწავლონ, როგორია სამშობლოს სიყვარული და, ამავდროულად, რა დიდია პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე.

***

უმით ოსმანაღაოღლუ (ბატონიშვილი) დაიბადა თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ხოფაში, ცნობილ ლაზურ თავადურ ოჯახში.

მშობლიურ მიწაზე გატარებული ყოველი წუთი მის ბავშვურ გონებაში ღრმად აღიბეჭდა, რაც კარგად ჩანს მისსავე წიგნში „ლაზი ვორე“, ანუ „მე ვარ ლაზი“.

უმითი პროფესიით მშენებელ-რესტავრატორია, როგორც თავად ამბობს, პროფესია იმიტომ შეარჩია, მშობლიურ კუთხეში ძველებური სახლები საკუთარი სახსრებით რომ გადაერჩინა.

დაახლოებით 10 წლის წინ, უმითმა შეასრულა მამის დანაბარები — ლაზეთში, კერაზე ცეცხლი არ ჩააქრო და დაბრუნდა ხოფაში.

სწორედ ხოფაში იწყება მის ცხოვრებაში ახალი ეტაპი. ის უღრმავდება, ეცნობა, ინტერესდება ყველა იმ საკითხით, რაც ადრე მამა-პაპათაგან, თუნდაც ლამაზი ზღაპრის სახით მოუსმენია. ისტორიულ სამშობლოში ჩამოსვლის პირვანდელი განცდები თავის წიგნში აქვს გაზიარებული. მან დაიწყო საქართველოს შემოვლა, ეცნობოდა კუთხეებს, იცნობდა ადამიანებს. როგორც თავად ამბობს, ამ საინტერესო გზაზე მან ბევრი მეგობარი შეიძინა.

სწორედ ამ გზაზე გაიცნო უმითმა ქართველი ქალბატონი ლია ბახუტაშვილი და თავისი ცხოვრების თანამგზავრად გაიხადა. ამ ქორწინებით ის კიდევ უფრო დაუახლოვდა თავის ისტორიულ სამშობლოს.

უმითი ცდილობს, აუხსნას და ასწავლოს ლაზებს მათი წარმომავლობა, ისტორია. ჩაუნერგოს საქართველოს, როგორც ისტორიული სამშობლოს სიყვარული. 2012 წლის 30 მაისს უმით ოსმანაღაოღლუს გადაეცა ქართული ისტორიული დიასპორის წარმომადგენელთა (გურჯები, ფერეიდანელები, ლაზები, ინგილოები) კონკურსში გამარჯვებისათვის მე-3 ადგილი თემისათვის „მე ვარ ლაზი — მაშასადამე ქართველი“. ეს დიპლომი მას სამების საკათედრო ტაძარში საკუთარი ხელით გადასცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

იქამდე მიიღო საქართველოს მოქალაქეობა და დღეს ის ორივე ქვეყნის მოქალაქეა. ასევე თავისი სურვილით შეიძინა საკუთარი სახლი შუაგულ იმერეთში, ხონში. ხოლო ამა წლის 14 ოქტომბერს, ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიამ უმით ოსმანაღაოღლუს ქართული კულტურისა და ლაზური ენის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისათვის, მიანიჭა მცხეთის საპატიო მოქალაქეობა.

ნესტან ჩაგელიშვილი

უმით ოსმანაღაოღლუ (ბატონიშვილი)

„მცხეთობაზე“



„ლაზი ვორე“

მეუღლესთან, ლია ბახუტაშვილთან ერთად

ლაზი თავადის სახლი

ხიდი სოფელ აბუში

ПРЕСКОНФЕРЕНЦИЕБИ, БРИФИНГЕБИ, ПРЕЗЕНТАЦИЕБИ

PSPRESS-კლუბი

ქუთაისი, რუსთაველის 37ა (პრესის სახლი). 599 10 77 94

წიგნების მაღაზია ქიმერიონი qimerioni.ge

ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:

• ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;
• კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;
• მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;
• სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;
• ენციკლოპედიები;
• ლექსიკონები;
• ჟურნალ-გაზეთები

წიგნები შენ გელოდება!

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „ფუდმარტი“ (ყოფილი „პოპული“), წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“.

ტელეფონი: 790 927 927; (0 431) 274 474

მილოცვა

ჩვენი რედაქციის ერთგულ თანამშრომელს, **მანანა ვაშაკიძეს**, სულითა და გულით ვულოცავთ დაბადების დღეს! დიდი ბედნიერება ყოფილიყოს მისი და მისი იგორის თანამგზავრი ყოველთვის!

გაზეთ „P.S.“-ის რედაქცია